სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 25 ოქტომბერი 2006 №247 (2869) ფასი 50 თეთრი

ტოპი ადასტურებს ქვაჩახია არის, სირაძეს ვნახავ, შოთას შევხვდები

საქართველოს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი ახლა გერმანიაშია — ტოპი უქმეებზე ლევან კობიაშვილის და ალექსანდრე იაშვილის თამაშებს დაესწრო, დღეს დავით სირაძესაც ნახავს საქმეში, მერე საურუგვაიო სიას შეადგენს, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მწვრთნელებს შეხვდება... მოკლედ, ჰერ კლაუსთან სასაუბრო ნამდვილად დაგვიგროვდა და მას გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ...



— ურუგვაისთან ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში ბევრ ახალ ფეხბურთელს გამოიძახებთ?

— რა თქმა უნდა. ჩვენ გვსურს, ეს ტესტ-მატჩი ნამდვილად ტესტ-მატჩი იყოს. ახალი ფეხბურთელები იქნებიან, ოღონდ ვინ, ჯერ ვერ გეტყვით. მაგალითად, ხვალ საღამოს სირაძის თამაშის ნახვას ვაპირებ — მასზე ბევრი საინტერესო ინფორმაცია მაქვს...

— საქართველოს ჩემპიონატიდან არ აპირებთ ვინმეს გამოძახებას?

— ამჟამად ის შემიძლია გითხრათ, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ „ამერის“ მეკარის, ზურაბ ქვაჩახიას გამოძახებას ვაპირებ. დანარჩენი კი, ვნახოთ...

— მწვრთნელთა საბჭოს შექმნაზე რას ფიქრობთ?

— ეს საუკეთესო საშუალებაა საიმისოდ, რათა უფრო წარმატებულად შევძლოთ მუშაობა. ნაკრების მწვრთნელებსა და უმაღლესი ლიგის კლუბების მწვრთნელთა შორის მჭიდრო კონტაქტის არსებობა აუცილებელია. მე ძალიან მჭირდება მათი დახმარება ნაკრების ფეხბურთელთა შერჩევისას, თუმც მხოლოდ ამით არ შეპოვიფარგლებით — 17, 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების დაკომპლექტებისასაც დაგეჭირდება მათი რჩევები.

— საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მწვრთნელებს პირველად 12 ნოემბერს ხვდებით. რას ელით ამ შეხვედრისგან?

— დიდი იმედი მაქვს, რომ ყველა მწვრთნელი გამოთქვამს ჩვენთან შეხვედრისა და თანამშრომლობის სურვილს. ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ ქართული ფეხბურთის აღმავლობის გზაზე დაყენება და ნაკრებისთვის საუკეთესო კადრების მომზადება.

— დავით სირაძეზე უკვე თქვით. ისიც შევიტყვეთ, თითქოს ლადო ბურდულის და ვიტალი დარასელიას გამოძახებასაც აპირებთ...

— ფაქტია, ძალიან მინდა, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი კიდევ ვნახო საქმეში. მათ გვარებზე დაზუსტებით ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან ჩამოყალიბების პროცესში ვართ და გადაწყვეტილი არაფერი მაქვს.

— ამ უქმეებზე რომელიმე ქართველის თამაში ხომ არ გინახავთ?

— შბათ-კვირას კობი და იაშვილი ვნახე. მათ თამაშებს დავესწარი და კმაყოფილი დავრჩი.

— შოთა არველაძემ გვითხრა, ურუგვაისთან და თურქეთთან ამხანაგურ მატჩებში ალბათ ვერ ვითამაშებო... რას იტყვით ამაზე?

— არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან შოთასთან არ მისაუბრია და ამის თაობაზე არავითარი ინფორმაცია არ მაქვს. რამდენიმე დღეში შოთას უნდა შევხვდე და ყველაფერს გავარკვევ.

— თბილისში როდის ჩამოდიხართ და ნაკრებს შეკრება როდის დაიწყება?

— თუ არაფერი შეიცვალა, ნოემბრის დასაწყისში თბილისში ვიქნები, მერე კი შეკრებაც დაგვიწყება.

ნინო სილაგაძე

რიტორიკა და ლოგიკა

რაზე უნდა ელაპარაკოს სილვიო ბერლუსკონი რონალდინიოს ძმას

სადილობისასაც კი თურმე რონალდინიოზე ლაპარაკობს „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, ბერლუსკონიმ, ადრიანო გალიანიმ და „მილანის“ სატრანსფერო საქმეთა შეფმა არიედო ბრაიდამ მაგიდასთან დანა-ჩანგლის წკარუნში ბრაზილიელის გადაბირების ამბავი გაარჩიეს. მომავალ უქმეებზე მილანური დერბია, რომლის სანახავადაც რონალდინიოს ძმა რობერტო ასისი ჩაბრძანდება „სან სიროზე“ და თან აწ უკვე მილანელი რიკარდო ოლივეირას კონტრაქტის დეტალების დაზუსტებას ეცდება. შეგახსენებთ, რომ რობერტო ასისი ოლივეირას აგენტია და სწორედ მან გაჩარხა ბრაზილიელის ტრანსფერი „მილანში“. იმას კი შეხსენებაც არ უნდა, რომ ის თავისი ძმის, რონალდინიოს აგენტიცაა და, აბა, ისე როგორი იქნება, ბერლუსკონიმ და გალიანიმ ბარსელონელ მეგა-ძმაზე არ ჩამოუგლეს სიტყვა. როგორც ჩანს, რიკარდო ოლივეირას ტრანსფერი ამ შეხვედრის საბაბი იყო.

რონალდინიოს კი „ბარსასთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუხანგრძლივებია და ესეც რაღაცას უნდა ნიშნავდეს. სწორედ ამ „რაღაცას“ ებღაუჭება ბერლუსკონიც...

მინიდუელი მინირევანშით

საქართველო – საფრანგეთი: 4:0 გუშინ. რა იქნება დღეს?

გიორგი ალთუნაშვილმა (№11) ფრანგებს ოთხ წუთში ორი გოლი გაუტანა

გაფრი კეთილაძის ფოტო

ამხანაგური მატჩი

დარბაზის მამლებმა ვერ დაიყივლეს

საქართველო 4:0 საფრანგეთი

1:0, 2:0 ალთუნაშვილი (2, 4), 3:0, 4:0 თოთლაძე (20, 38)

თოთლაძემ ვერ გაიტანა პენალტი (20, მეკარე)

საქართველო: ზაქაიძე, ალთუნაშვილი, თოთლაძე, მიზანდარი, სარქისიანი

შეცვლაზე შევიდნენ: კუბლაშვილი, დევდარიანი, ოსეფაიშვილი, ცნობილაძე, ბოკერია, სოლოლაშვილი, ჯამბურია

საფრანგეთი: ჰარუნი, ოტპანი, ბურუმი, პარკოვიჩი, პარნა

შეცვლაზე შევიდნენ: ბასონი, ელასრი, ვრუფი, კურარი, საბატიე, კოლაბელა

გაფრთხილება: ელასრი (20)

მსაჯები: მ. ურუშაძე, შ. ქუხილავა

საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება და ხუთწლიანი სანაკრებო პაუზის შემდეგ გუშინ პირველი ამხანაგური შეხვედრა გამართა. საფრანგეთის ნაკრები რეიტინგში ქართველებს 27 ადგილით უსწრებდა, თუმცა ეს სხვაობა გუშინდელ შეხვედრაში საპირისპიროდ ჩანდა. ორი წამყვანი ფეხბურთელის, ალეკო ძაბირაძის და ბესიკ ზოიძის არყოფნაში გუნდი მწვრთნელებმა, ანდრო მიზანდარმა და დავით სოლოლაშვილმა გააძლიერეს.

მე-2 წუთზე გიორგი ალთუნაშვილმა კედელი გაითამაშა გიორგი თოთლაძესთან და მეკარეს აუღებელი დაურტყა. ორიოდ წუთში იმავ ალთუნაშვილმა უკვე ალიკ სარქისიანის გადაცემა შეირგო და საწყის ხუთში მიღებულმა ორბურთიანმა ჰანდიკაპმა ჩვენები ოდნავ დააწყნარა.

ფრანგების მიზანი — გაეწელათ ქართული დაცვა, არ გამოვიდა და ტაიმის განმავლობაში სტუმრებს ერთადერთხელ შეეძლოთ გაეტანათ. მე-17 წუთზე ლევან ზაქაიძემ პარნას მკვდარი ბურთი გამოუძრო.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე აშკარა გახდა, რომ ქართველები ამ შეხვედრას აღარ წააგებდნენ — თოთლაძის პენალტი მეკარემ კუთხურზე კი მოიგერია, მაგრამ ამ კუთხურს გოლი მაინც მოჰყვა: თოთლაძემ შეცდომა გამოასწორა და სარქისიანის პასით მესამე გაიტანა. ამ ეპიზოდმა ფრანგთა უკმაყოფილება გამოიწვია — ისინი მეკარეზე ჯარიმას ითხოვდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ეპიზოდში მსაჯთა სიმპათია ქართველების მხარეს იყო, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამან რაიმე გავლენა მოახდინა თამაშზე.

სტუმრებმა თავი მხოლოდ მეორე ტაიმის შუაში დაგვამახსოვრეს, როდესაც ქართველთა დაცვა ოდნავ გაიხსნა და ზაქაიძემ სამჯერ იხსნა კარი. გულხელდაკრეფილი არც ქართველები ყოფილან — თოთლაძეს და სარქისიანს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ ბოლოს ვეღარ ვარგობდნენ.

შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე მასპინძლებს ჯარიმათა ლიმიტი ამოეწურათ. ყოველი მომდევნო ჯარიმა პენალტით ისჯებოდა, მაგრამ ქართველებმა აქაც კარგად გაართვეს თავი ამოცანას, შეხვედრა უჯარიმოდ დაასრულეს. ორი წუთით ადრე კი ფრანგები კონტრშეტევაზეც დაიჭირეს და თოთლაძემ ისევ სარქისიანის პასით იხეირა — 4:0.

დარჩენილი დრო უკვე ფორმალობაღა იყო და ორივე გუნდმა მშვიდად ჩაამთავრა თამაში.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ფრანგთა კაპიტანი შტეფან ბასონი და ქართველი მეკარე ლევან ზაქაიძე დაასახელეს.

პიერ ჟაკი, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი: „ვულოცავ ქართველებს ამ გამარჯვებას. არ ველოდი, ასეთი კარგი გუნდი თუ გეყოლებოდათ. კარგი იქნებოდა, ადგილობრივებს არ ემსაჯათ. შევეცდებით, ხვალ რევანში ავიღოთ.“

ანდრო მიზანდარი: „ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ამ გამარჯვებას ისტორიული უნდა ვუწოდოთ. მთელი შეხვედრა დაძაბული იყო. ფრანგთა ერთ გოლს შეეძლო, შეხვედრა რადიკალურად შეეცვალა. ყველაფერი კი მეოთხე გოლმა გადაწყვიტა.“

ღღეს გუნდები კიდევ ერთხელ გაეჯიბრებიან ერთმანეთს. შეხვედრა სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ დარბაზში 17 საათზე გაიმართება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი დემეტრაძე, ვინც უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მეგოლედ ითვლებოდა, ბოლო დროს ძველებური შედეგიანობით ვეღარ გამოირჩევა. მისი დონეცკის „მეტალურგი“ კი ცხრილში უჩვეულო, მე-9 ადგილზეა. ამ სეზონში ჩვენიანმა ფორვარდმა ჯერ სულ ორი გოლით გამოიჩინა თავი, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ბოლო სანაკრებო შეკრების შემდეგ დონეცკში დაბრუნებულს კლუბის ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია და გუშინწინდელ „მეტალისტ“ — „მეტალურგის“ მატჩშიც სათადარიგო იყო. ღღეს კი „მეტალურგს“ უკრაინის თასის შეხვედრა აქვს და, როგორც თავად დემეტრაძემ გვითხრა, ალბათ ძირითადში იქნება...

დემეტრაძე უკრებმა ნაკრებმა დაღალა

დაუნახავი მსოფლიოს ჩემპიონსაც ვერ დაინახავს

— არაფერი მაწუხებს, ვფიქრობ, კარგ ფორმაშიც ვარ, მაგრამ მწვრთნელმა რატომღაც ძირითად შემადგენლობას ჩამომაშორა. გერმანიასთან და იტალიასთან სანაკრებო მატჩების შემდეგ „მეტალურგის“ ძირითადში აღარ მითამაშია.

— მიზეზი რა არის?

— არ ვიცი, არც მწვრთნელს აუხსნია მიზეზი და არც თავად მიკითხავს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მატჩებში ძირითადში ადგილს დავიბრუნებ.

— იტალიასთან თამაში არ შეგეძლო, მაგრამ ამ მატჩისთვის მაინც ნაკრებთან ერთად იყავი. ამის გამო ხომ არ აგითვალწუნა მწვრთნელმა?

— არა მგონია, ჩვენთან ასეთი რაღაცები არ ხდება. სანაკრებო მატჩებისას კლუბი ვალდებული იყო, გავენთავისუფლებინე. დაბრუნებაც არ დამგვიანებია, დონეცკში დროულად ჩამოვედი. თუმცა მწვრთნელი პიჩი ალონსო აღარ მთამაშებს. ახლა უკრაინის თასზე მატჩისთვის ვემზადებით და ალბათ ძირითადში ვიქნები, ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრეს და ვნახოთ, როგორ იქნება. ხვალ თუ არა, ძირითადს მალე მაინც დავუბრუნდები. სამი-ოთხი მატჩის გამოტოვება დიდად არც მანერვიულებს, ვიცი ჩემი თავის ამბავი და ცოტა ხანში ძველებურადაც ავთამაშდები.

— ადრე ტრავმის გამოც ხომ გაგიცდა რამდენიმე მატჩი?

— მაშინ კიევის „დინამოსთან“ დავშავდი. მუხლში ჩამარტყეს და დაახლოებით ორი კვირა ვისვენებდი. მართალია, მერე გერმანიასთან ნაკრებში ვითამაშე, მაგრამ ფეხი კიდევ მაწუხებდა და ტკივილებმა ახლახან გამიარა.

— ბოლო სანაკრებო მატჩების შემდეგ არ გვისაუბრია. იტალიასთან მატჩს ტრიბუნიდან უცქერდი. რას იტყვი?

— სათქმელიც რა მაქვს, ნერვიულობისგან კინაღამ გული გამისკდა, ხომ შეიძლება, ღმერთმა ერთხელ ჩვენსკენაც გადმოიხედოს. ჯერ იყო და, რაღაც კურიოზული გოლი მივიღეთ, შემდეგ კი კაცნაკლულნი დავრჩით და როგორ გინდა, მსოფლიოს ჩემპიონებს ასე ეთამაშო?! მით უმეტეს, ხომ გახსოვთ, რამდენი ფეხბურთელი ვიყავით დისკვალიფიცირებულნი და რამდენი იყო დაშავებული.

— თითქმის ყველას აზრით, ბოლო დროს საქართველოს ნაკრებს აშკარა პროგრესი ეტყობა. ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე როგორ ფიქრობს, ეს წინსვლა პირველ ყოვლისა რით გამოიხატება?

— ახლა გაცილებით სწორ და გამართულ ფეხბურთს ვთამაშობთ, ვიდრე ადრე. ყველა ფეხბურთელმა იცის თავისი საქმე, რასაც მეტნაკლებად კარგადაც ვაკეთებთ. კარგი შედეგი კი ერთი და ორი მატჩის შემდეგ არ მოდის, ცოტაც უნდა მოვითმინოთ და ჩვენც ჩვენთვის საკადრისი გუნდი გვეყოლება. ისე კი, რა თქმა უნდა, პროგრესი თვალსაჩინოა და არ შეიძლება, ეს არ დაინახო. თუმცა ვისაც ამის დანახვა არ უნდა, სულ რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ, მაინც იტყვის, ნაკრებმა თამაში არ იცისო.

— ურუგვაისთან მატჩისგან რას ელი?

— ასე თუ ისე ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას და ჩვენი ნაკრების კიდევ უკეთეს თამაშს. ტოპმოიოლერმა ჯერ კიდევ ვერ შეკრიბა საუკეთესო შემადგენლობა. იმედი მაქვს, ურუგვაისთან მაინც ყველა ფეხბურთელი შეიკრიბება და მწვრთნელსაც საქმე გაუიოლდება.

კოგა ინასარიძე

ესპანეთი
თასი. 1/16 ფინალი
ალავესი 0:0 სელტა
ატლეტიკო 0:1 ლევანტე

ინგლისი
ლიგის თასი. III ეტაპი
ჩესტერფილდი 2:1 *ვესტ ჰემი*
ლიდსი 1:3 *საუთენდი*
ლესტერი 2:3დ.დ.(2:2) *ასტონ ვილა*
ნოტსი 2:0 *საუთჰემპტონი*
პორტ ვეილი 3:2პენ.(0:0) *ნორვიჩი*
უენსდი 2:4 *ბირმინგემი*
უოტფორდი 2:1 *ჰალი*
ვესტ ბრომვიჩი 0:2 *არსენალი*
უიკომბი 3:2პენ.(1:1, 2:2)*დონკასტერი*
ევერტონი 4:0 *ლუტონი*

თურქეთი
თასი. 1/8 ფინალი
მანისა 1:1 *ტრაბზონი*

სლოვაკეთი
I ლიგა. XVII ტური
დუბნიცა 0:1 *არტმედია*

გერმანია
თასი. II ეტაპი
ბაბელსბერგი 2:4 *შტუტგარტი*
ბოხუმი 3:2 *კარლსრუე*
დორტმუნდი 0:1 *ჰანოვერი*
პირმასენსი 0:3 *უნტერჰახინგი*
ზაარბრიუკენი 0:2 *ფიურტი*
ლუბეკი 4:5პენ. (0:0) *ბურგჰაუზენი*
ვოლფსბურგი 1:0 *ფრაიბურგი*
კიოლნი 4:2დ.დ. (2:2)*შალკე*

რუსეთი
პრემიერლიგა. XXV ტური
სპარტაკი (ნ) 2:1 *შინიკი*

საფრანგეთი
ლიგის თასი
1/8 ფინალი
ლე მანი 3:1 *ლანსი*
ნანსი 2:1 *ტულუზი*
რეიმსი 4:3პენ.(0:0) *მონაკო*
სოშო 5:0 *დიჟონი*
ლილი 0:2დ.დ. (0:0) *რენი*

ირლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
დერი 2:0 *შელბურნი*

ალკმაარმა შოთას მუხლი ამსტერდამში გააგზავნა

თითქმის ერთი თვეა, ჰოლანდიური „ალკმაარისა“ და ჩვენი ეროვნული ნაკრების მეგოლე შოთა არველაძეს მარჯვენა მუხლი აწუხებს. გუშინ არველაძეს კლუბის ექიმებმა ტომოგრაფიული გამოკვლევა ჩაუტარეს, მაგრამ გადაჭრით ვერაფერი უთხრეს — ტომოგრაფიული სურათი არველაძის ძველ ქირურგ ნიკ ვან დაიკს გაუგზავნეს ამსტერდამში და მისგან ელიან ზუსტ დიაგნოზს.

დაახლოებით ორწლინახევრის წინ რეინჯერსელმა არველაძემ სწორედ ვან დაიკთან გაიკეთა ოპერაცია მარჯვენა მუხლზე, რომელზეც ხრტილი აქვს ამოტეხილი. არველაძე იმედოვნებს, რომ მუხლზე ამჯერადაც ართროზული ანთება აქვს — წამონაზარდები ან ძვლოვანი ნაფშვენები. ასეთ შემთხვევაში უოპერაციოდაც შესაძლებელია გარკვეული ხნით თამაში, მაგრამ თუ საქმე გართულდა, ხელმეორე ართროსკოპული ოპერაცია გარდაუვალი იქნება.

ალკმაარის ექიმები ვან დაიკის დასკვნას არაუგვიანეს ერთ კვირაში ელიან. თუ არველაძის მუხლს ახალი პათოლოგიები არ ექნება და მხოლოდ ართროსკოპული ოპერაცია დასჭირდა, სარეაბილიტაციო პერიოდი 6-7 კვირას გასტანს.

დავით თავართქილაძე

29 ოქტომბერს 14 საათზე ეროვნულ სტადიონზე შედგება საქართველოს ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბის წევრთა პირველი საყოველთაო ფორუმი. ფან-კლუბის წევრებს და განევრიანების მსურველებს, გთხოვთ, მობრძანდეთ.

სფფ

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური

A ჯგუფი

ზესტაფონი — სპარტაკი თბილისი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ლ. თოდრია, ზ.ფიფია; გ. კიკაჩეიშვილი

კახეთი თელავი — **ამერი** თბილისი

მსაჯები: ვ. გუმბერიძე; ი. უკლება, კ. ბერაძე; ი. ურუშაძე

B ჯგუფი

ტორპედო ქუთაისი — **მესხეთი** ახალციხე

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ო. მოლოდინაშვილი, ლ. მიქელაძე; ზ. ერქვანია

ბორჯომი — ვიტ ჯორჯია თბილისი

მსაჯები: ლ. სილაგავა; ა. ნონიკაშვილი, დ. კურტანიძე; თ. ხუჭუა

C ჯგუფი

ოლიმპი რუსთავი — **ნორჩი დინამოელი** თბილისი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ხუციშვილი, ა. გუნთაძე; გ. ვადაჭკორია

ჩიხურა საჩხერე — **დინამო** თბილისი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ნ. რუსიშვილი; ხ. გაგნიძე

D ჯგუფი

მერანი თბილისი — **მეშაძრე** აგარა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ა. კოკაია, კ. გუდურაშვილი; ლ. კვარაცხელია

ბათუმი — **სიონი** ბოლნისი

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, კ. გაბრიაძე; მ. ნაკაიძე

A ჯგუფი

ამერი	2	2	0	0	5:0	6
ზესტაფონი	2	1	0	1	5:2	3
კახეთი	2	1	0	1	3:5	3
სპარტაკი	2	0	0	2	0:6	0

B ჯგუფი

ტორპედო	2	2	0	0	5:1	6
ბორჯომი	2	1	0	1	2:4	3
მესხეთი	2	0	1	1	0:1	1
ვიტ ჯორჯია	2	0	1	1	0:1	1

C ჯგუფი

დინამო	2	2	0	0	7:1	6
ჩიხურა	2	1	1	0	2:0	4
ოლიმპი	2	0	1	1	0:3	1
ნ. დინამოელი	2	0	0	2	1:6	0

D ჯგუფი

ბათუმი	2	2	0	0	6:0	6
სიონი	2	2	0	0	4:1	6
მეშაქრე	2	0	0	2	0:4	0
მერანი	2	0	0	2	1:6	0

აქტუალური თუ უჰრინი საჩხერეში არ წავიდა

რადგან ორწრიან უმაღლეს ლიგას თოთხმეტი გუნდი შემორჩა, თასის გათამაშება ახლებული ფორმატით იმართება, რათა უმაღლესლიგელებს სეზონში ცოტა მატჩების ჩატარებამ არ მოუნიოთ — ასეთია განმარტება და ლოგიკა, მაგრამ ისიცაა, რომ ასეთ სათასო ფორმატში უმაღლესლიგელებს რამდენიმე „გასეირნება“ უნევთ...

„დინამო“ და „ოლიმპი“ ჩემპიონატში ერთმანეთთან შესახვედრად ემზადებიან და დღეს ძალების დაზოგვას აპირებენ

ფოტოები ალექსანდრე ბოლოდინაშვილის

დუშან უჰრინი საჩხერეში არ წავიდა

თბილისის „სპარტაკი“ თვრამეტგუნდა პირველ ლიგაში მე-12 ადგილზეა და რა უნდა გააწყოს სტუმრად „ზესტაფონთან“? სპარტაკელებს წარმატების მისხალი შანსი მაშინ ექნებათ, თუ „ზესტაფონი“ ძალებს დაზოგავს და, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ითამაშებს. მაგრამ ისიცაა, რომ „ზესტაფონი“ ჯგუფში უდანაკარგო არ არის და თუ ფეხი დაუცდა, ვინძლო „კახეთმა“ გადაასწროს.

კახელებს ცუდად მისდით საქმეები ჩემპიონატში, გუნდი ბოლო ადგილზეა და ოდენ ერთი ქულა აქვს. ჯემალ მახარაშვილის სამწყსოს „ამერთან“ გამარჯვების იოტისხელა შანსი აქვს, მაგრამ ხანდახან ასეთ შანსსაც მოაქვს წარმატება.

B ჯგუფში საინტერესო უნდა იყოს „ბორჯომის“ და „ვიტ ჯორჯიას“ დაპირისპირება. თერთმეტი დღის წინ ეს გუნდები ჩემპიონატში შეხვდნენ ერთმანეთს და ხმაურიანი ინციდენტიც მოხდა — ვიტჯორჯიელი პაატა დათუნაიშვილი ბორჯომელი მაყურებლის გინებისთვის გააძევეს და, როგორც თვითმხილველები ამბობენ, უგუნურ მაყურებელს დათუნაიშვილის საცოლეზე ხელი აღუმართავს. იმედია, მსგავსი რამ დღეს არ მოხდება, მაგრამ მომხდარი ინციდენტი ალბათ სიმძაფრეს შემატებს დღევანდელ მატჩს.

ქუთაისის „ტორპედო“ პირველლიგელ „მესხეთს“ მასპინძლობს, მაგრამ ფრთხილად უნდა იყოს — „მესხეთი“ პირველ ლიგაში მეორე ადგილზეა და უმაღლესში გადასვლის კანდიდატია.

პირველ ლიგაში „მესხეთს“ ექვსი ქულით ჩამორჩება და მე-6 ადგილზეა „ნორჩი დინამოელი“, რომელიც რუსთავის „ოლიმპის“ ესტუმრება. სავარაუდოდ, „ოლიმპი“ ძალებს დაზოგავს და რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს დაასვენებს. არა გვგონია, „ოლიმპმა“ მთლად მეორე შემადგენლობით ითამაშოს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჯგუფში, საიდანაც მომდევნო ეტაპზე ორი გუნდი გადის, მესამე ადგილზეა.

აი, „დინამო“ კი მეორე გუნდით ეწვევა საჩხერის „ჩიხურას“. დინამოელებს ნოდარ აკობია უხელმძღვანელებს, მთავარი „დინამოს“ თავკაცი დუშან უჰრინი კი ძირითად ფეხბურთელებთან ერთად თბილისში დარჩება — 29 ოქტომბერს ეროვნული ჩემპიონატის მეათე ტურში „დინამო“ გათამაშების ლიდერ „ოლიმპს“ მასპინძლობს და „ჩიხურასთან“ მატჩში ტრავმებს და ყვითელ-წითელ ბარათებს რომ მოერიდოს, ამიტომ აგზავნის საჩხერეში მეორე გუნდს. „დინამოს“ საჩხერეში ალბათ გაჰყვება ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილიც, ვინც თვეზე მეტია, ძირითადი გუნდის სამატჩო განაცხადში არ გამოჩენილა. საინტერესოა, რატომ გადაიყვანეს გრიგალაშვილი „დინამოს“ მეორე გუნდში? ამ ნახევარმცველით ხომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელებიც დაინტერესდნენ და 7 და 11 ოქტომბერს გერმანიასთან და იტალიასთან მატჩისთვის გამოიძახეს კიდეც.

„მერანი“ — „მეშაქრეს“ დაპირისპირებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს — ვფიქრობთ, ამ წყვილს უპირობო ფავორიტი არ ჰყავს — „მეშაქრე“ უშანსოდ ნამდვილად არ გამოიყურება, პირველ ლიგაში მეოთხე ადგილზეა და უმაღლესს უმიზნებს.

თუ გუნდებმა ძალები არ დაზოგეს, „ბათუმი“ — „სიონის“ შეხლაც არ უნდა იყოს ურიგო.

რა გაეწყობა, გათამაშების ფორმატის გამო „თუ“ ძალიან აქტუალური სიტყვაა...

დავით თავართქილაძე

ასათიანი უთამაშებელიც საუკეთესოა

მესამე ტურია, მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივს“ ვერ ეხმარება, მაგრამ საქართველოს ნაკრების ლიდერს ეს ხელს არ უშლის, კვლავაც ერთპიროვნულად ულიდეროს რუსული პრემიერლიგის საუკეთესო მცველებს.

პოპულარული „სპორტ-ექსპრესის“ ნომინაციაში ასათიანი 6,00 ქულით პირველ ადგილზეა — მეორე-ადგილოსანს, სპარტაკელ ჟედერს ასათიანზე სამით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული და 5,91 ქულა დააგროვა.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ მალხაზი რუსეთის საუკეთესო მცველი გახდა, შარშან კი მეორე ადგილზე გავიდა.

სხვა ნომინაციებში ძველებურად ორი ქართველია: საყრდენ ნახევარმცველებში ნალჩიკელი გოგიტა გოგუა მესამე. ადგილზეა, გამთამაშებლებში კი — კრილიელი დავით მუჯირი მეხუთეზე.

ძახა შალამბერიძე

სირაძემ ორი მწვრთნელი მოსიბლა

მეორე ბუნდესლიგის აუე-ს ქართველი ფორვარდი დავით სირაძე „ბრაუნშვაიგთან“ შეხვედრაში გოლით რომ გამოირჩა, უკვე გამცნეთ.

სეზონის დასაწყისი სირაძემ ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ ახლა თანდათან შედის ფორმაში და საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელთა ყურადღებაც მიიქცია. სირაძის კარგი თამაში არც გერმანელ ჟურნალისტებს გამორჩენიათ:

„დავით სირაძე „ბრაუნშვაიგთან“ შეხვედრაში ორმაგი დატვირთვით თამაშობდა. სეზონი მისთვის უიღბლოდ დაიწყო და ჯერ ჩვეულ ფორმაში არ არის, თუმცა ქართველი ფეხბურთელის პროგრესი აშკარაა. რაც უფრო მეტ დროს ატარებს მოედანზე, მით უფრო კარგად ჩანს მისი სიძლიერე. „ბრაუნშვაიგი“ ერცებირგელთა კონკურენტია და მასთან გამარჯვება გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა. აუე-ს მოგებაში სირაძეს დიდი წვლილი მიუძღვის, გოლის გარდა საკმაოდ აქტიურადაც ითამაშა. მისი კარგი თამაში კი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა რალფ მინგემ საკუთარი თვალით ნახა. მინგეს სირაძის თამაში მოეწონა და, სავარაუდოდ, უახლოეს შეხვედრაში აუე-ს თავდამსხმელი ეროვნული გუნდის მაისურს მოირგებს“.

დავით სირაძით ყველა კმაყოფილი დარჩა

სირაძის თამაშით კმაყოფილი დარჩა აუე-ს თავკაცი გერდ შედლიხიც: „ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო — „კაიზერსლაუტერნთან“ წაგების შემდეგ რეაბილიტაცია გვჭირდებოდა... მოხიბლული ვარ სირაძით. მან წინა სეზონში შედეგიანად ითამაშა და იმედი მაქვს, ახლაც ასე გააგრძელებს“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ქართველები და მესამე ლიგა

დათვაძე და ზირაქიშვილი ქოჯაელში

29 წლის დავით დათვაძე, ვინც ბოლოს „ბორჯომში“ თამაშობდა, თურქულ „ქოსერნსფორში“ ჩაირიცხა და ამ გუნდში პირველი გოლიც გაიტანა.

„ქოსერნსფორი“ ქოჯაელის გუნდია და მეორე ლიგაში აღზევებისთვის იბრძვის. დიდი შანსია, „ქოსერნსფორში“ კიდევ ერთი ჩვენებური ჩაირიცხოს — 31 წლის ზაზა ზირაქიშვილი უკვე ვარჯიშობს ამ გუნდში, მაგრამ ფორმალობების გამო იქ იანვრამდე ვერ ჩაირიცხება.

დათვაძეც და ზირაქიშვილიც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში ურიგოდ არ თამაშობდნენ — ზირაქიშვილი 2001 წელს ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა.

დავით თავართქილაძე

გმირი და იღბლიანი უიღბლო

უკრაინულმა პრესამ მეთერთმეტე ტურის სიმბოლური ნაკრები შეადგინა და გასაკვირი არაა, რომ ამ ნაკრებში ორი ქართველი მოხვდა — ბოლო ტურში არსენალელი საყრდენი ნახევარმცველის ჯაბა კანკავას და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ თავდამსხმელის, ირაკლი მოდებაძის გოლები გადამწყვეტი გამოდგა.

„კანკავა ტურის გმირია. ქართველი ფეხბურთელის შორიდან გასროლილმა შარშანდელი ჩემპიონი დონეცკის „შახტარი“ კონკურენტ კიევის „დინამოს“ სამი ქულით დააშორა...

...მოდებაძე ყველა შეხვედრაში ბევრს მოძრაობს და მუდამ გოლის გატანაზე ფიქრობს. ირაკლი ცოტა უიღბლო ფეხბურთელია, თუმცა „ტავრიასთან“ შეხვედრაში იღბალმაც გადმოხედა და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა“ — აღნიშნავს უკრაინული პრესა.

გეხსომებათ, უკრაინის ჩემპიონატის სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელად კრიებასელი ვასილ გიგიაძე დასახელდა. ოქტომბერში საუკეთესობის საკმაო შანსი კი ჯაბა კანკავას აქვს — მან ამ თვეში ორი გოლი გაიტანა და „არსენალის“ ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელად ითვლება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

რა შუაში ვართ ქართველები?!

ილია კანდელაკი: ჩემი მაისურა ყველა მაისურას მირჩევნია

ოდესის „ჩერნომორეცი“ შარშანდელივით ვეღარ ყოჩაღობს — ნინა ჩემპიონატის მესამეადგილოსანს საქმეები ცუდად მისდის, უეფას თასიდანაც გავარდა და ჩემპიონატშიც მერვე ადგილამდე დაქვეითდა. უკრაინის უმაღლეს ლიგაში სადღეისოდ თექვსმეტი ქართველი თამაშობს და მათგან უმეტესობა საქართველოს ნაკრების წევრი ან კანდიდატია. საინტერესოა, რას ფიქრობს ამ ყველაფრის თაობაზე „ჩერნომორეცის“ ერთ-ერთი ლიდერი, ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრი ილია კანდელაკი

ილია კანდელაკი (№35) ანდრეი შევჩენკოს წინააღმდეგ

— რით ახსნი იმას, რომ უკრაინული კლუბები უკრაინის ნაკრების გარდა, ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრებსაც უმზადებენ კადრებს?

— ის, რომ კლაუს ტოპმიოლერი ბევრ ფეხბურთელს იწვევს უკრაინიდან, იმის ბრალია, რომ აქ კარგი ქართველი ფეხბურთელები თამაშობენ. ადრე საქართველოს ნაკრებში რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელები სჭარბობდნენ, ახლა კი ასე აღარაა. არ ვიცი, ეს რატომ ხდება, რუსეთში ხომ ქართველთა რაოდენობა ასე მნიშვნელოვნად არც შემცირებულა. შესაძლოა, ტოპმიოლერი ფიქრობს, რომ უკრაინის ჩემპიონატი უფრო ჯდება მის მოდელში. საერთო აზრია, რომ ქართველები ტექნიკურები ვართ, მაგრამ ფიზმომზადებასა და დისციპლინაში მოვიკოჭლებთ. მწვრთნელსაც დიდი დრო არა აქვს, რათა ვარჯიშებზე ფიზიკურად მოგვამზადოს და ამიტომაც ენდობა უკრაინაში მოთამაშე ლეგიონერებს — აქ ხომ ფიზიკას უდიდესი ყურადღება ეთმობა.

— ამ სეზონში უკრაინულმა კლუბებმა ევროთასებზე თავი ვერ გამოიჩინეს. „ჩერნომორეცი“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ უეფას თასიდან გავარდნენ, „შახტარი“ და „დინამო“ კი ჩემპიონთა ლიგის აუტსაიდერები არიან. ეს შედეგი კლაუს ტოპმიოლერს აზრს ხომ არ შეუცვლის?

— არც ერთი მწვრნელი არ გამოიძახებს ფეხბურთელს სუსტი გუნდიდან, მაგრამ იმედი მაქვს, ტოპმიოლერი ჩვენზე უარს არ იტყვის. მხოლოდ ჩვენ, ქართველი ლეგიონერები ხომ არ ვართ დამნაშავენი იმაში, რომ უკრაინულმა კლუბებმა კარგად ვერ ითამაშეს?!

— ევრო 2008-ის შესარჩევში საქართველო ბოლოსწინა ადგილზეა. გასაგებია, რომ შედეგი ცუდია, მაგრამ თამაშის ხარისხით თუ აკმაყოფილებთ თქვენს გულშემატკივრებს?

— ოთხ თამაშში სამი ქულა, რა თქმა უნდა, ცუდი შედეგია. მაგრამ ისიცაა, რომ ფარერების გარდა, ჩვენ საფრანგეთს, უკრაინას და იტალიას ვეთამაშეთ. თავს ზემოთ ახტომა ვერ შევძელით, მაგრამ ხარისხზე საყვედური არავის დასცდენია. კიევში სულაც მოგება შეგვეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ 2:3 წავაგეთ. რატომღაც არ გვიმართლებს, შიში და მეტოქის ზედმეტი პატივისცემა კი არაფერ შუაშია — მოედანზე თავაწეულები და საბრძოლოდ შემართულები გავდივართ. მაისურსაც კი არ ვუცვლი არც ერთ ავტორიტეტულ ფეხბურთელს. ვფიქრობ, ჩემი ნაკრების ფორმა უფრო კარგი სამახსოვროა ჩემთვის.

— ქართველები ემოციური ერი ხართ. ალბათ, თქვენს გუნდში იოლი არ იქნება კონფლიქტებისთვის თავის არიდება...

— ცდებით. ჩვენ ძალიან შეგობრული გუნდი ვართ. დიდი ფეხბურთელებიც გვყავს, მაგალითად, კალაძე და კობიაშვილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენები გარიყულები ვართ. პირიქით, ერომანეთს ხშირად ვურეკავთ და ვამხნევებთ.

და გაზა? პოლი პოლს უხმობს

პოლ ინსი, ძველი და მაგარი, კვლავაც თამაშობს ფეხბურთს. ოღონდაც ის თან მენეჯერიც შექნილა პაწაწინა „მაკლსფილდში", რომელიც მეორე ლიგის ფსკერზეა.

თუმცა ინსს ვინც იცნობს, იცის, რომ მას გული სულ მაღლა მიუწევს.

„რა თქმა უნდა, პრემიერლიგაში მენეჯერობა მსურს — ამბობს 39 წლის პოლი — თუ ეს გამოვა, პირველი ბრიტანელი შავკანიანი მენეჯერი ვიქნები პრემიერლიგაში. სერ ალექს ფერგიუსონი ყოველთვის ამბობდა, რომ კაცმა უმაღლესი მიზანი უნდა დაისახოს. მეც ასე ვფიქრობ. ფეხბურთმა საუცხოო ცხოვრება მაჩუქა და მისი დატოვება არ მინდა".

ჰოდა, ინსის პირველი ნაბიჯი, საფეხბურთო ლიგის ბოლოდან მეორე გუნდში ერთი ძმაბიჭური მიწვევაა — პოლი მეორე პოლს უხმობს. ძველ მეგობარ გაზას ინსი სთავაზობს, რომ მაკლსფილდს მოვიდეს და ერთად შეუბერონ კარგი ფეხბურთი.

„მისთვის კარი ღიაა. თუკი გაზას უნდა, აქა ვარ. ადრე ცოტახანს მწვრთნელობდა და გამეხარდება, თუ მხარში ამომიდგება" — ამბობს ინსი.

ბრიგადაც ეს იქნება. ორი ბობოქარი კაცი პატარა ქალაქში. ისე გაზა ყოველთვის ოცნებობდა ასეთ რამეზე.

ირაკლი გამყრელიძე

ვენგერი ზამთარში ფანჯარას არ აღებს

ლონდონის „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა იანვარში ახალი ფეხბურთელების შეძენა გამორიცხა. „მეთოფეებს" ფრანკ რიბერისა და სხვა მოთამაშეებს უკავშირებენ, მაგრამ ფრანგი სპეციალისტის თქმით, მისი გუნდი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის მერე უცვლელი დარჩება.

„კარგი გუნდი გვყავს და იანვარში არავის ყიდვას არ ვაპირებთ. სეზონის ბოლომდე ამ შემადგენლობას შევინარჩუნებთ" — აღნიშნა ვენგერმა.

„არსენალმა" მძიმე სტარტის შემდეგ თამაში გამოასწორა და ახლა მართლაც შესაშურ ფორმაშია. ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვის ცსკა-სთან ამასწინანდელ მარცხს თუ არ ჩავთვლით, „მეთოფეებისთვის" ყველაფერი კარგად მიდის. ისინი პრემიერლიგის ლიდერებს კუდში მისდევენ.

გუშინ „არსენალს" „კარლინგის თასზე" „ვესტ ბრომვიჩთან" შეხვედრა ჰქონდა და ვენგერმა ამ მატჩში სარეზერვო შემადგენლობა გაიყვანა. მან შანსი ისეთ ფეხბურთელებს მისცა, რომლებსაც დიდი სათამაშო დრო არ ეძლევათ ან ახლად მომჯობინებულნი არიან.

მუნდიალზე დაშავებული ფილიპ სენდეროსი ახლა მომჯობინდა და „ვესტ ბრომვიჩთან" დიდი პაუზის მერე პირველად ითამაშა. მალე ლორენი, აბუდიაბი და ჟულიო ბაპტისტაც გამოკეთდებიან.

და ბოლოს, ფრანსესკ ფაბრეგასის შემდეგ ლონდონელებმა კიდევ ერთ ახალგაზრდა მოთამაშესთან, შვეიცარიელ მცველ იოჰან ჯურუსთან გაახანგრძლივეს კონტრაქტი. იგი „არსენალში" 2010 წლამდე დარჩება.

კოკი კანდელაკი

დაკბენილ მასკერანოს დეფო დაჰყურებს

კბილიანი ხუმრობა
არგენტინული ხორცის ნაჭერი

უქმეებზე ტოტენჰემელი ჯერმენ დეფოს მიერ მკლავდაკბენილმა ვესტჰემელმა ხავიერ მასკერანომ ინტერვიუ, მისცა ინგლისურ მედიას და თქვა, რომ მსაჯ სტივ ბენეტს მკბენარი უნდა გაეძევებინა.

„ასეთი საშინელება, რაც ინგლისში. ვთამაშობ, პირველად დამემართა — თქვა ხავიერმა — გუნდის საქმეები ცუდად მიდის, მაგრამ ეს პროცესია და ვცდილობთ, უკეთესები ვიყოთ. როგორ არ გააგდო მსაჯმა?"

საკვირველი კი ის არის, რომ დეფო თურმე არ და ვერ დაისჯება. ფეხბურთის ასოციაციამ თამაშის ქაღალდებს ჩახედა და გამოარკვია, რომ რახან ბენეტმა დეფო გააფრთხილა, ის მეტ ვერანაირ გაფრთხილებას ვეღარ მიიღებს. წითელი რომ მიეღო, ინციდენტი განიხილებოდა, ახლა კი, კანონით დეფო იმ ხარისხითაა დასჯილი, რომელიც დამატებით სასჯელს არ ითვალისწინებს.

არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ასოციაცია მოვლენის შემდეგ, დამატებით სჯის ხოლმე უხეშ მოთამაშეს, ამ შემთხვევაში არ გამოდის. დეფო თავად იყო მასკერანოს გამუდმებული უხეშობის მსხვერპლი და მისი რეაქცია საპასუხო იყო. თანაც, მასკერანოს ნაკბენი არ დატყობია, რაც ტოტენჰემელი მენეჯერის მარტინ იოლის სიტყვებს ამყარებს, დეფომ მწარედ იხუმრა და მეტი არაფერიო.

ირაკლი გამყრელიძე

სასწრაფო დახმარება

შონ რაიტს ლაზარეთში ეპატიჟებიან

მადრიდის „ატლეტიკო" ლაზარეთადაა გადაქცეული. მიგელ დე ლას კუევასს, მაქსის, პეტროვს და გაბის, ტრავმირებული მიგელ ანხელ მისტაც შეემატა. დე ლას კუევასი, მაქსი და პეტროვი „ვისენტე კალდერონის" გუნდს სავარაუდოდ, 6 თვით გამოაკლდებიან. გაბის ლავიწი აქვს დაშავებული და „ატლეტიკოს" მცირე ხანში შეუერთდება, ხოლო მისტამ ტრავმა შაბათს „რიასორზე" „დეპორტივოსთან" მატჩში მიიღო. მადრიდელთა მოიერიშეს მყესები გაუწყდა და თამაშს სულ მცირე, ერთი თვე ვერ შეძლებს.

სადღეისოდ აგირეს გუნდს ჯანმრთელად მარტო 18 ფეხბურთელი ჰყავს და აქედან სამი მეკარეა. ცხადია, მხოლო 15 მოთამაშე „ატლეტიკოს" ესპანური პრიმერას ურთულეს მატჩებში ვერაფრით დაეხმარება, ამიტომაც „ათლეტები" ტრანსფერზე ფიქრობენ. გუნდის სპორტულმა დირექტორმა გარსია პიტარჩმა ამას წინათ განაცხადა, ახალ ფეხბურთელებს არ ვიყიდითო, თუმცა მაშინ მისტა ჯანზე იყო და დღეს სენიორ პიტარჩს ალბათ თავისი ნათქვამის გადასინჯვა მოუწევს.

როგორც ესპანური გაზეთები აცხადებენ, „ატლეტიკოს" მზვერავები ამზეამად სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, არგენტინაში არიან და იქაურ ფეხბურთელებს აკვირდებიან.

მადრიდის „ატლეტიკო" შონ რაიტ ფილიპსის შეძენითაც დაინტერესდა. ინგლისელი ფეხბურთელი „ჩელსის" დატოვებას ფიქრობს და „ათლეტთა" აგენტებიც ფხიზლად არიან. ადრე „ატლეტიკოს" ყოფილი სპორტული დირექტორი ტონი ბუნიოსი აპირებდა რაიტ ფილიპსის ყიდვას, თუმცა მაშინ ინგლისურ-ესპანური გარიგება ჩაიშალა.

შონ რაიტ ფილიპსმა ინგლისურ პრემიერლიგაში „ჩელსის" მაისურით მარტო 5 შეხვედრა ითამაშა და მოედანზე 171 წუთი დაჰყო. გოლიც ვერ გაიტანა და ჟოზე მაურინიუს სამომავლო გეგმებშიც აღარ შედის. შონი მაურინიუს შეგირდი „მანჩესტერ სიტიში" კარგი თამაშის შემდეგ გახდა, მაშინ ლონდონელებმა მანჩესტერელებს 31 მილიონი ევრო გადაუხადეს.

„ატლეტიკოს", მაქსი როდრიგესის და პეტროვის ტრავმების შემდეგ სწორედ რაიტ ფილიპსისნაირი სწრაფი განაპირა ნახევარმცველი სჭირდება. შეიძლება რაიტ ფილიპსი „ვისენტე კალდერონზე" იჯარის წესით გადაბარგდეს, რადგანაც „ჩელსის" თავის ფეხბურთელთან საბოლოოდ განშორება არ უნდა.

ლადო ხომერიკი

სასამართლომ ჰარასკევი ორშაბათს გადაიტანა

იტალიაში მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებით დასჯილი ხუთი კლუბიდან ოთხი, ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის. მოგეხსენებათ, „იუვენტუსმა", „მილანმა", „ლაციომ" და „ფიორენტინამ" სპორტის უმაღლეს სასამართლო ორგანოს აპელაციით ცოტა ხნის წინ მიმართეს. „რეჯინამ" ჯერ ვერ მოასწრო გასაჩივრება.

წესით, განაჩენი ჰარასკევს უნდა გამოეცხადებინათ, მაგრამ უქმეებზე სერია A-ს მორიგი ტურია, თან მილანური დერბი გველის. მოსამართლეებს მოსაფიქრებლად მეტი დრო სჭირდებათ და, ერთი სიტყვით, რამდენიმე მიზეზის გამო ვერდიქტის გამოტანა მომავალი კვირის დასაწყისისთვის გადადეს.

შეგახსენებთ, რომ ამ კლუბებს კალჩოპოლის პირველადი განაჩენი უკვე შეუმსუბუქეს „მილანმა" მინუს 8, „ლაციომ" მინუს 9, „ფიორენტინამ" მინუს 19, ხოლო „იუვენტუსმა" სერია B-ში მინუს 17 ქულით დაიწყო სეზონი.

იტალიური პრესის ცნობით, საარბიტრაჟო სასამართლო კლუბებს მინუს ქულებს ალბათ გაუნახევრებს.

კოკი კანდელაკი

პოლიციელის შვილი უბრალო კაცია

AFP

ფერნანდო მორიენტესი წლების წინ „რეალის“ ერთ-ერთი ვარსკვლავი იყო, თუმცა „ბერნაბეუზე“ ყბადაღებული „გალაქტიკური ერის“ დადგომამ „ელ მორრო“ იძულებული გახადა, ბედი უცხოურ კლუბებში ეცადა. ჯერ ფრანგული „მონაკო“ იყო, ხოლო შემდეგ ინგლისური „ლივერპული“. დღეს ფერნანდო კვლავ ესპანეთშია, „ვალენსიაში“ ბურთაობს და კარიერის დასრულებასაც აქვე აპირებს. „ვალენსია“ დღევანდელი „რეალისგან“ განსხვავებით ერთი დიდი მტკიცე ოჯახივითაა“ — უთხრა „ელ მორომ“ „ლას პროვინსიასის“ კორესპონდენტს

— მორიენტესი და დავიდ ვილია პრიმერადივიზიონის ყველაზე „ბედნიერ წყვილად“ უნდა ჩავთვალოთ?

— მარტო ჩვენ არ ვართ ბედნიერ მოიერიშეთა წყვილი, გუნდიც ბედნიერია, რადგან სეზონი შესანიშნავად დავიწყეთ. ამ შემთხვევაში გოლები თავდამსხმელებს გააქვთ, თუმც მთელი „ვალენსია“ ბრწყინვალედ თამაშობს.

— ვილიასთვის საგოლე პასის მიცემაც ისევე გიხარიათ, როგორც გოლის გატანა?

— შემთხვევას გააჩნია. რა თქმა უნდა, მეტოქის კარის პირადად დალაშქვრა უფრო მომწონს, მაგრამ ისეთ დაძაბულ მატჩებში, როგორიც მაგალითად, „ოსასუნასთან“ გავმართეთ, საგოლე კომბინაციაში მონაწილეობასაც დიდი სიხარული მოაქვს.

— გეტყობათ, მოედანზე ერთმანეთს საოცრად კარგად უგებთ...

— გეთანხმებით. ყოველ შემთხვევაში, ვილიას გვერდით კარგად ვთამაშობ, რადგან მას მოედანზე ისეთი რაღაცეების გაკეთება შეუძლია, რასაც მე ვერ ვახერხებ, ხოლო რაც მე ვიცი, დავიდი გუნდის სასარგებლოდ შესანიშნავად იყენებს. გულახდილად ვიტყვი, რაულის შემდეგ მოედანზე მსგავსი პარტნიორი არ მყოლია.

— ვილია „ოქროს ბურთს“ იმსახურებს?

— ძნელია ამაზე პასუხის გაცემა, რადგანაც დავიდის გარდა სხვა უამრავი ფეხბურთელი არსებობს, საპატიო ჯილდოს რომ იმსახურებენ. თუმცა, „ოქროს ბურთის“ გადაცემა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მოპოვებული ტიტულების სიმრავლის მიხედვით ხდება. სეზონის ბოლოს მოგებული ტიტულები საბოლოო გადაწყვეტილებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს.

— დავიდ ვილია ესპანეთის ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა. ფიქრობთ, რომ ამას თქვენც იმსახურებთ?

— ვმუშაობ, რომ ნაკრებში ისევ მოვხვდე, მაგრამ ვერ გეტყვით, ეს როდის მოხდება. უპირველეს ყოვლისა, „ვალენსიასთვის“ ვცდილობ, გუნდისთვის, რომელიც ყოველ კვირას მოედანზე გამოსვლის და თავის გამოჩენის საშუალებას მაძლევს. თუ ფერნანდო მორიენტესს კლუბში საქმეები კარგად წაუვიდა, ეს ეროვნული გუნდის თავკაცებმა აუცილებლად უნდა შეამჩნიონ. თუ პირიქით მოხდა, შანსებიც ნაკლები მექნება. ისე, წელს ჩემს თამაშს, მგონი წუნი არ დაედება და ნაკრებში დაბრუნების იმედიც მაქვს.

— ფეხბურთის ფედერაციამ არაგონესთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. ეს თქვენი მიზნის განხორციელებას ხელს ხომ არ შეუშლის?

— არა. ვთვლი, რომ ნაკრებში ყოველთვის პირადი დამსახურების გამო ვხვდებოდი. თუ „ვალენსიაში“ კარგად ვითამაშებ, გოლებს გავიტან და კლუბს გამარჯვებაში დავეხმარები, ნაკრებში რატომ არ უნდა მიმიწვიონ? თუ კარგ ფორმაში ვიქნები და მწვრთნელმა ყურადღება მომაქცია, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დამიძახებს.

— დონ ლუისს იგივე „ვალენსიაში“ სანაკრებო ფეხბურთელების საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს...

— ბევრი ფეხბურთელია ნაკრების ღირსი როგორც ესპანეთის, ისევე უცხოეთის მასშტაბითაც. ვიცი, რომ ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობა „ვალენსიას“ თამაშებს საგანგებოდ აკვირდება. „მესტალიაზე“ საუკეთესო ესპანელი ფეხბურთელები ბურთაობენ.

— „ლივერპულში“ ჩატარებული უცნაური სეზონის შემდეგ „ვალენსიაში“ გადასვლა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო?

— ჩემი კარიერისთვის მართლაც რომ საუკეთესო გადაწყვეტილება გახლდათ. სხვაგან გადასვლაზე არც მიფიქრია, მაშინ ვამბობდი, ან „ვალენსია“, ან ისევ „ლივერპული“... „ვალენსიამ“ ძალიან მომხიბლა, არა იმიტომ, რომ ჰაერის გამოცვლა მინდოდა, არამედ „მესტალიას“ კლუბმა თამაშის გაუმჯობესებისთვის „ლივერპულზე“ უკეთესი პირობები შემომთავაზა. „ენფილდს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებდი, თუ რომელიმე ევროპული გრანდის შემოთავაზებას მივიღებდი. პირველად „ვალენსიას“ წარმომადგენლები დამიკავშირდნენ და მეც გადაწყვეტილება უცებ მივიღე.

— გასული ტურის შემდეგ ლიდერ „ბარსელონას“ ქულებით გაუტოლდით, თუმცა ტრავმის გამო ალბელდა დაკარგეთ... მნიშვნელოვანი ფეხბურთელის გამოკლება გუნდის თამაშზე ზეგავლენას მოახდენს?

— ალბათ კი. ტრავმების მხრივ წელს ნამდვილად დავიჩაგრეთ, ბიჭები მწყობრიდან ერთი-ორი კვირით კი არა, თვეობით გამოდიან. აქამდე ჩვენი მწვრთნელის მიერ განხორციელებული როტაციების წყალობით საქმე კარგად მიდიოდა. იმედია, ტრავმიანობის მიუხედავად, მომავალშიც ასე გავაგრძელებთ.

— ტრავმებმა რომ საბედისწერო როლი არ შეასრულოს, ამისთვის საჭიროა გუნდის შემადგენლობაში ბევრი ფეხბურთელი იყოს...

— გეთანხმებით. მოთამაშეთა სიმცირეს არ განვიცდით. როგორც კი სეზონი დაიწყო, „ვალენსიას“ უფროსობამ გამოაცხადა, რომ ყველა პოზიცია სათანადოდ არის შევსებული. მოგეხსენებათ, სეზონში უამრავი მატჩი უნდა ჩავატაროთ და ყველა ამ თამაშში მონაწილეობას ერთი და იგივე შემადგენლობა ნამდვილად ვერ შეძლებს... თან ტრავმებიც მოულოდნელად დაგვატყდება ხოლმე თავს.

— „რეალის“ „ბარსაზე“ გამარჯვებამ, სატურნირო ცხრილში „ვალენსიას“ დაწინაურებას შეუწყო ხელი. ამის გამო ორმაგად ისიამოვნეთ?

— სამმაგად, ერთ-ერთი გოლი რაულმა შეაგდო, რამაც ძალიან გამახარა. ისე, „ელ კლასიკოს“ ფრედ დასრულებას უფრო ვარჩევდი, რადგანაც ამით „ვალენსია“ მოიგებდა, მაგრამ, „ბერნაბეუზე“ „რეალმა“ გაიმარჯვა. „ბარსას“ წაგება ჩემი მადრიდული წარსულის გამო გამიხარდა. თან კატალონიელები მოგების შემთხვევაში ცხრილში ძალიან წინ გაიჭრებოდნენ.

— რატომ კამათობენ ამდენს რაულის სათამაშო დონის შესახებ? ეს დაახლოებით იგივეა, რაც მადრიდში მორიენტესთან მიმართებაში ხდებოდა...

— როცა ფეხბურთელი კარიერაში დიდ წარმატებებს მიაღწევს, მაშინვე ჩნდება ხალხი, განსაკუთრებით აქ, ესპანეთში, ამა თუ იმ ვარსკვლავის მოახლოებულ ჩაქრობაზე ლაპარაკს რომ იწყებს. ხშირად ეს საუბარი ნაადრევია. სხვა ქვეყნების მაგალითი უნდა გადავიღოთ, უცხოეთში ისეთ მოთამაშეებსაც კი უდიდეს პატივს სცემენ, მინდორზე რაულის ნახევარი საქმეც რომ არ გაუკეთებიათ.

— გულწრფელად მიპასუხეთ, თანამედროვე „ვალენსიას“ მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონასი“ უნდა შეშურდეს?

— სხვისი რატომ უნდა შეგვშურდეს? ამ კლუბში უკვე რამდენიმე თვეა, ვთამაშობ და თავისუფლად შემიძლია ვთქვა, „ვალენსიას“ ბევრი გუნდი ვერ შეედრება. მადრიდის „რეალი“ უდიდესია, მაგრამ „ვალენსია“ დღევანდელი „რეალისგან“ განსხვავებით, ერთი დიდი მტკიცე ოჯახივითაა... ოჯახში კი მარტო ფეხბურთელებს არ ვგულისხმობ, აქ კლუბი, გულშემატკივრები და საერთოდ მთელი ქალაქი ერთ მუშტადაა შეკრული.

— ყოფილი ბეტისელი ხოაკინის პასები ფორვარდებისთვის ნამდვილი მისწრებაა...

— მოიერიშეებისთვის ხოაკინის, ვისენტეს ან სილვას მსგავსი ხალხი ღვთის წყალობაა. თავდასხმაში ჩვენი ეფექტური თამაში მათი პასების შედეგია.

— სრული ერთი წელია, „ვალენსია“ საკუთარ არენაზე არ დამარცხებულა. თავის დროზე თქვენ აქ როგორც რეალელს, ისე გითამაშიათ. „მესტალია“ სტუმარი გუნდებისთვის აგრერიგად ძნელ არენად რატომ ითვლება?

— სანამ„ მესტალიაზე“ საომრად ჩახვიდოდე, უკვე ერთი კვირით ადრე იწყებ ნერვიულობას, იცი, რომ იქ წარმატებას უშელავთო ბრძოლის ფასად თუ მიაღწევ გამარჯვებას ვინ ჩივის, მეტოქისთვის „მესტალიაზე“ გოლის გატანა სულ დილემა იყო... „რეალში“ რომ ვთამაშობდი, ფრეც სანატრელი გვქონდა. და თუ „რეალი“ „მესტალიაზე“ მარტო ქულაზე ოცნებობდა, წარმოიდგინეთ, დანარჩენები რა დღეშიც იქნებოდნენ.

— „ვალენსია“ პრიმერადივიზიონის და ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია?

— თუ რეალურად ვიტყვით, დიახ. რაც სეზონი დაიწყო, ცუდად მარტო ვიგოს „სელტასთან“ ვითამაშეთ. ეს მაფიქრებინებს, რომ დიდი ჯილდოებისთვის ბრძოლას კარგად შევძლებთ.

— რომელი უფრო მთავარია თქვენთვის, ჩემპიონთა თასი თუ ესპანეთის ჩემპიონობა?

— არც ერთს არ დავიწუნებდი... საბედნიეროდ, ორივე მომიგია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას მაინც თავისებური ხიბლი აქვს.

— ვალენსიელი ინჩასების მხარდაჭერაზე რას გვეტყვით?

— კარგის მეტი რა უნდა ვთქვა. ხალხი მარტო სტადიონზე კი არ მქომაგობს, ქუჩაშიც მცნობს და პატივისცემით მეგებება, რაც განსაკუთრებულ სტიმულს მაძლევს. როცა „ვალენსიაში“ გადმოვედი, გული მეთანაღრებოდა, ვფიქრობდი, ინჩასები, როგორც ყოფილ მადრიდელს, ამითვალწუნებდნენ. ტყუილად ვშიშობდი, ფანობა მხარში მიდგას.

— მოედანზე ძალიან წყნარი და მშვიდი პიროვნება ჩანხართ. ცხოვრებაშიც ასეთი ხასიათი გაქვთ?

— რა გითხრათ, ვთვლი, რომ უბრალო კაცი ვარ და ჩემს სამუშაოს პროფესიონალურად ვაკეთებ. ბედმა გამიღიმა და ფეხბურთში ყველაფერს მივაღწიე, რაზეც პატარაობისას ვოცნებობდი.

— მამათქვენი პოლიციელი იყო და ძალიან მკაცრად გზრდიდათ. თქვენი შვილებიც სპარტანულად იზრდებიან?

— ცხოვრება შეიცვალა და მეც ჩემს შვილებს ბევრად უფრო თავისუფლად ვეპყრობი, თუმცა ოჯახური ტრადიციები ჩვენთან არასოდეს მოიშლება.

— „პლეი სთეიშენის“ ფეხბურთი ძველებურად გიტაცებთ?

— აღრე ვიდეოთამაშების მაგისტრი ვიყავი, ახლა კი, რაც დრო გადის, ამით უფრო ნაკლებად ვარ დაინტერესებული. დღეს „პლეის“ ფეხბურთით ჩემი შვილები ერთობიან.

— ფორმულა 1-ში ალონსოს გამარჯვება ნახეთ?

— დიახ და როგორც ესპანელი ამით ძალიან ვამაყობ.

— ვალენსიაში ყველაზე მეტად რა მოგწონთ?

— ხალხი და აქაური კლიმატი.

— კარიერის დასრულებას ამ კლუბში აპირებთ?

— აუცილებლად, „ვალენსიადან“ არსად არ წავალ...



გატუზომ კრიზისი უარყო

ჯილარდინომ თითი ინძაგის დააღო

ინძაგის ბრალი ყოფილა

იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ ფორვარდმა ალბერტო ჯილარდინომ განაცხადა, რომ ფილიპო ინძაგის გვერდზე თამაში უჭირს. მისი აზრით, „როსონერის“ თავდამსხმელთა უშედეგო თამაშის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს ყოფილა.

24 წლის ფორვარდს „მილანის“ მაისურით დაახლოებით 6 თვეა, გოლი არ გაუტანია და მას პრესა აკრიტიკებს, თუმცა „როსონერის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი და „სკუადრა აძურას“ თავკაცი რობერტო დინადონი პერიოდულად გამოდიან და ამბობენ, ჯილა უმაღლესი კლასის ფორვარდია, მალე გოლების გატანას დაიწყებს და ყველაფერი კარგად იქნებაო.

„ჩემთვის ადვილი არ არის ინძაგისთან ერთად თამაში, რადგან ერთმანეთს ძალიან ვგავართ. ხშირად ერთი და იგივე გადაწყვეტილებას ვიღებთ, რაც გოლის გატანას გვიძნელებს. ერთად თამაშს რომ მივეჩვიოთ, ვარჯიშებზე ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ახლა მთლიანად „მილანსაც“ არ უდგას კარგი დრო. „პარმაში“ სულ სხვანაირად ვთამაშობდი. აქ კი ვიცი, რომ უფრო გუნდისთვის უნდა გავისაჯრო და მხოლოდ გოლზე არ ვიყო დაგეშილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გატანა უფრო გამიჭირდება“ — განაცხადა ჯილარდინომ.

13146	რეჯინა-პარმა	1.70	1.90
13147	რომა-ასკოლი	1.90	1.70
13149	სამპდორია-ლაციო	1.60	2.00
13150	სიენა-კატანია	1.70	1.90
13151	ტორინო-ფიორენტინა	1.60	2.00

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაგებულად ჩაითვლება)

14138	ატალანტა-კალიარი	1.65	2.20
14139	კიევო-მილანი	2.40	1.40
14141	ემპოლი-უდინეზე	1.90	1.70
14142	ინტერი-ლივორნო	1.04	2.90
14144	პალერმო-მესინა	1.20	2.60
14146	რეჯინა-პარმა	1.70	2.10
14147	რომა-ასკოლი	1.06	2.90
14149	სამპდორია-ლაციო	1.70	2.20
14150	სიენა-კატანია	1.60	2.30
14151	ტორინო-ფიორენტინა	2.00	1.75

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15138	ატალანტა-კალიარი	3.00	2.80	2.00
15139	კიევო-მილანი	3.00	2.80	2.00
15141	ემპოლი-უდინეზე	3.00	2.80	2.00
15142	ინტერი-ლივორნო	3.00	2.80	2.00
15144	პალერმო-მესინა	3.00	2.80	2.00
15146	რეჯინა-პარმა	3.00	2.80	2.00
15147	რომა-ასკოლი	3.00	2.80	2.00
15149	სამპდორია-ლაციო	3.00	2.80	2.00
15150	სიენა-კატანია	3.00	2.80	2.00
15151	ტორინო-ფიორენტინა	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16138	ატალანტა-კალიარი	1.30	2.60
16139	კიევო-მილანი	3.20	1.25
16141	ემპოლი-უდინეზე	1.85	1.70
16142	ინტერი-ლივორნო	1.05	5.50
16144	პალერმო-მესინა	1.15	4.00
16146	რეჯინა-პარმა	1.45	2.35
16149	სამპდორია-ლაციო	1.55	2.10
16150	სიენა-კატანია	1.35	2.60
16151	ტორინო-ფიორენტინა	2.10	1.55

გოლი:ფრეი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფრეად)

17138	ატალანტა-კალიარი	1.85	1.95
17139	კიევო-მილანი	1.85	1.95
17141	ემპოლი-უდინეზე	1.85	1.95
17142	ინტერი-ლივორნო	1.85	1.95
17144	პალერმო-მესინა	1.85	1.95
17146	რეჯინა-პარმა	1.85	1.95
17147	რომა-ასკოლი	1.85	1.95
17149	სამპდორია-ლაციო	1.85	1.95
17150	სიენა-კატანია	1.85	1.95
17151	ტორინო-ფიორენტინა	1.85	1.95

ატლანტა ვუდსონის ექსპერიმენტმა გაჭედა



ზაზა ფაჩულია უჩვეულოდ დიდხანს იყო სათადარიგოთა სკამზე

საგამოფენო მატჩი

23 ოქტომბერი

ატლანტა 105:110 ვაშინგტონი

ატლანტა: მ. უილიამსი (17), შ. უილიამსი (9), ჩილდრესი (12), ბოზემანი (5), რაიტი (2); ჯონსონი (28), ლუ (16), სმიტი (16 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ფაჩულია (11 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ფრეიე, გლინიადაკისი

ამჯერად წარუმატებლად ისპარინგა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსმა". ჯორჯიელთა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ცოტა ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენა „ვაშინგტონთან" და... წააგო. მან ტრადიციული დამწყები ხუთეულის მხოლოდ ერთი წევრი დააყენა სასტარტოში — მარვინ უილიამსი, სხვა წამყვანი მოთამაშეები კი გზადაგზა ჩართო თამაშში, რითაც „ატლანტამ" ბევრიც ვერაფერი მოიგო — თავიდანვე ჩამორჩა დედაქალაქურ გუნდს, მერე კი მთელი თამაში ცდილობდა ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას, მაგრამ ბოლო მეოთხედამდე 14-ქულიანი დეფიციტით მივიდა.

დასკვნით 12-წუთეულში ატლანტელებმა მეტი მონდომებით გამოიღეს ხელი და ჯო ჯონსონის მეთაურობით ჩამორჩენის აღმოფხვრა იწყეს, მაგრამ ვაშინგტონელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ანთუნ ჯემისონმა თავისი 22 ქულიდან 12 სწორედ დასკვნით 12-წუთეულში ჩაუგდო ზაზა ფაჩულიას გუნდს.

რაც შეეხება ატლანტას ჩვენებურ ცენტრს, მწვრთნელმა ვუდსონმა სხვა ლიდერთა მსგავსად ამ თამაშში მასაც სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი და მხოლოდ 10 წუთით ათამაშა. ბუნებრივია, დროის ამ მონაკვეთში ზაზამ სასწაულებრივი მონაგრით ვერ დასრულა შეხვედრა.

შეხვედრის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე კი 29 ქულის მომხვეჭი ვაშინგტონელი ჯილბერტ არენასი გახლდათ.

კოტე ყორშია



ვლადიმირ კლიჩკო

ჯერ ენა, მერე მუშტი

პროფესიული კრივის ზემოთ ბევრ წონაში კვლავაც გვარიანი არეულობაა, რადგანაც მოქმედი ჩემპიონები თუ პრეტენდენტები ენას არ აჩერებენ, თუმცა უახლოეს კვირებში მდგომარეობა შეიცვლება — შეიძლება, არ გაუმჯობესდეს, მაგრამ ცვლილებები უეჭველად მოხდება.

საქმე იმაშია, რომ ტიტულების დაცვა მოუწევთ WBO-ს ვერსიით ჩემპიონ ბელარუს სერგეი ლიახოვიჩსა და IBF-ს ქამრის მატარებელ ვლადიმირ კლიჩკოს.

ლიახოვიჩს ტიტულში ამერიკელი შენონ ბრიგსი შეეცილება. ბელარუსი საბრძოლო განწყობაზეა და ეჭვი არ ეპარება, რომ მოიგებს:

„ბრიგსი კარგი მოკრივეა და მაგარი მარჯვენა აქვს, მაგრამ მოძრაობაში დარტყმა არ შეუძლია. მე ამის უფლებას არ მივცემ. თანაც ის 4-6 რაუნდის მებრძოლია, მერე კი იღლება. გარწმუნებთ, რომ მე თორმეტი რაუნდისთვის ვიქნები მზად, მაგრამ ეჭვი მეპარება, ამდენ ხანს გამიძლოს".

ლიახოვიჩი კლიჩკოს კელვინ ბროკთან დაპირისპირებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ უკრაინელის გამარჯვებაში დარწმუნებულია.

საბრძოლო განწყობაზეა თვითონ კლიჩკოც, რომელსაც ბაქი-ბუქი არ დაუწყია და მხოლოდ თავისი მომზადების დონეზე ილაპარაკა, 100 პროცენტით შევასრულე ვარჯიშის შედგენილი გრაფიკი.

თუმცა უკრაინელმა არც ლიახოვიჩისა და ოლეგ მასკაევის ამასწინდელი განცხადებები დატოვა უკომენტაროდ. შეგახსენებთ, რომ ბელარუსმა და ყაზახმა მოკრივეებმა კლიჩკოს ბრალი დასდეს, ჩვენთან შეხვედრას გაურბის და ქამრების გაერთიანებაზე არც ფიქრობსო.

„გამაერთიანებელი ბრძოლების ჩატარება ჰირველ რიგში მე მინდოდა, ამიტომაც ბრძოლის გამართვა ყველა მოქმედ ჩემპიონს შევთავაზეთ. ლიახოვიჩს დროც კი დავუთქვი — მასთან აპრილში ვაპირებდი რინგზე გასვლას, თუმც სერგეისგან პასუხი არ მიმიღია, ახლა კი მასკაევი და ლიახოვიჩი ამბობენ, ჩვენთან ბრძოლა არ უნდაო. გამოდის, მათთვის თავიანთივე პრომოუტერებს დაუმალავთ ინფორმაცია, ამიტომაც საკუთარ შტაბში ეძებონ არშემდგარი ბრძოლების მიზეზები" — ასე შეაწმინდა კლიჩკომ მასკაევ-ლიახოვიჩის პრომოუტერებს ხელები.

ახლა კი გაიგე, სად არის დამარხული ძაღლის თავი.

ძახა ლომაჯვილი

ევროპამ ლიგა დაიწყო

წუხელ ესპანური „ხუვენტუდისა" და ბერძნული „პანათინაიკოსის" მატჩით ევროლიგა დაიწყო, ბებერი კონტინენტის ყველაზე მძლავრი და წარმომადგენლობით საკლუბო ტურნირი. წლიდან წლამდე ამ შეჯიბრის პოპულარობა მაღლა-მაღლა მიიწევს, შესაბამისად დონეც იხვეწება და ევროპულ კალათბურთის ოკეანგაღმაც გაუვარდა სახელი.

თუ ადრე ამერიკელები თავიანთ ნაჭუჭში იყვნენ ჩაკეტილნი და ნბა-ს იქით გახედვაც არ უნდოდათ, ბოლო ხანებში რკინის ფარდა ნელ-ნელა ჩამოხსნეს და ევროპული გრანდებისკენ თანასწორობის თვალით გამოხედეს.

ამის მიზეზი, რა თქმა. უნდა, ის ნედლეულია, რომელსაც ნბა ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამაშეების სახით ყოველწლიურად იღებს. პროფესიულ ლიგას უკვე ჰყავს რამდენიმე არაამერიკელი, უფრო კი ევროპელი სუპერვარსკვლავი, რამდენიმეც კი ამისთვის ემზადება და დევიდ შტერნის გარემოცვაც „ველური აღმოსავლეთით" ძალაუნებურად დაინტერესდა.

ამ შემოდგომაზე სულაც უპრეცედენტო პროგრამა შემუშავდა, რისი ეგიდითაც ნბა-ს რამდენიმე კლუბი ევროპის საკალათბურთო მეგაპოლისებს ეწვია და ამხანაგურ ჯახებში საკუთარ თავზე გამოსცადა ოკეანგამოღმური კალაბურთის ძალა. ამერიკელები ბებერი კონტინენტიდან მთლად ნაალაფარნი ვერ წავიდნენ, ცსკა-მ და „ბარსელონამ" მათ მარცხი აჰკიდეს.

ევროლიგის მატჩებს ქომაგები არ აკლია

ერთი სიტყვით, ევროლიგამ ჰიძლიერის პიკს მიაღწია და ახალი ჩემპიონატიც გვარიან სანახაობას ჰპირდება მილიონობით ქომაგს. ევროლიგა უპირველესად მდიდარ კლუბთა შეჯიბრია, ხოლო სადაც ფულია, ძალა და დონეც იქაა.

ევროლიგის მონაწილეობა ოდენობა და გათამაშების ფორმატი არ შეცვლილა. იცვლებიან მხოლოდ კლუბები და წლეულს ამ სუპერტურნირს 6 ახალი გუნდი დააჭაშნიკებს. მოსკოვის „დინამოს", ფრანგულ „ლე მანს", გერმანულ „რეინ ენერგიას", თურქულ „ფენერბაჰჩეს", ბერძნულ „არისს" და იტალიურ „ნაპოლის" აქამდე არასდროს უთამაშიათ ევროლიგაში.

24 გუნდი 3 ჯგუფშია განაწილებული და 2 წრის მილევის შემდეგ საუკეთესო 16 კლუბი მომდევნო ეტაპზე გავა. ანუ თითო ჯგუფიდან 5-5 გუნდი გააგრძელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას, რომლებსაც ერთი საუკეთესო მეექვსეადგილოსანი დაემატება. ამათგან შედგება 4 ოთხგუნდა ჯგუფი, რომელთა გამარჯვებულები მეოთხედფინალის საგზურს პირდაპირ გაინაღდებენ, ხოლო მეორე-მესამეზე გასულნი მიმოსვლით ჯახებში გამოავლენენ კიდევ ოთხ მეოთხედფინალისტს.

მეოთხედფინალი პლეი ოფის სისტემით, მიმოსვლით გათამაშდება და გამარჯვებული გუნდები ოთხთა ფინალში გავლენ, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე ათენში გაიმართება.

ტრადიციისამებრ ქართველები ამ ევროლიგაშიც ითამაშებენ. სლოვენიურ „ოლიმპიაში" მანუჩარ მარკოიშვილი მოსინჯავს ძალას, რომლისთვისაც ეს მესამე სეზონი იქნება ამ ტურნირში. აქამდე მას ევროლიგაში „ბენეტონის" შემადგენლობაში უთამაშია, ბოლო სეზონში კი — „ოლიმპიაში".

ვლადიმერ ბოისა ევროლიგის სტაჟიანი წევრია. ის მეხუთე სეზონს ჩაატარებს — „ოლიმპიას" 3 წელი ეხმარებოდა, ბოლო ორი სეზონი კი იტალიური „სიენასთვის" იღვწის.

რატომ გაიხსნა წლევანდელი ევროლიგა „ხუვენტუდი" — „პანათინაიკოსის" დაპირისპირებით? ამ ტურნირს ის ტრადიცია აქვს, რომ მრგვალ თარიღებს აფასებს და ვისაც დაბადების დღე აქვს, იმ კლუბს მიაგებს ხოლმე გახსნითი მატჩში თამაშის პატივს. შარშანდელი ევროლიგა „ჟალგირისის" მონაწილეობით გაიხსნა — ლიტვურ გრანდს მაშინ 60 წელი შეუსრულდა. წლეულს კი „ხუვენტუდს" 75 წელი უსრულდება და...

ერთი სიტყვით, ევროლიგა დაიწყო. ამიერიდან ყოველი კვირის შუაში ევროპის საკალათბურთო მოედნებზე დიდი ბრძოლები გაიმართება. ჩვენც მივყვეთ და ვუქომაგოთ...

ირაკლი პერტაია

A ჯგუფი	B ჯგუფი	C ჯგუფი
ტაუ (ესპანეთი)	მაკაბი (ისრაელი)	ცსკა (რუსეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	ბარსელონა (ესპანეთი)
ეფესი (თურქეთი)	უნიკახა (ესპანეთი)	ბენეტონი (იტალია)
კლიმამიო (იტალია)	ციბონა (ხორვატია)	ფენერბაჰჩე (თურქეთი)
პროკომი (პოლონეთი)	ოლიმპია (სლოვენია)	ჟალგირისი (ლიტვა)
დინამო (რუსეთი)	პარტიზანი (სერბეთი)	პო-ორტეზი (საფრანგეთი)
ლე მანი (საფრანგეთი)	რომა (იტალია)	არისი (საბერძნეთი)
რეინენერგია (გერმანია)	ხუვენტუდი (ესპანეთი)	ნაპოლი (იტალია)

საგარეჯო დაშლაზეა
რა საჭიროა კლუბი, რომელსაც ჩაგრაფენ?!

ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲝᲢᲝ

ძიუდოისტებს სეზონის დასრულებამდე ერთი დიდი ტურნირილა რჩებათ. შაბათს ბელგრადში ევროპის გუნდური ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი შემადგენლობას დღეს-ხვალ დაასახელებს, თუმცა ერთი რამ აქედანვე გადაწყვეტილი აქვს — პირველი ნომრები ევროპას გამოტოვებენ. მათთვის სეზონი ბუდაპეშტური საკლუბო ევროპირველობით დასრულდა. ᲨᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲗᲐᲜ გუშინ ვისაუბრეთ. ინტერვიუს ძირითადი ნაწილი კი „საგარეჯოს“ ბუდაპეშტურ ჭიდაობას დაეთმო. ნაკრებისა და კლუბის მთავარ მწვრთნელს პირველ რიგში ნახევარფინალური მარცხის მიზეზებზე დავეკითხეთ

— **რაც თავიდან ჩაიფიქრეს, ბოლომდე განახორციელეს. უსამართლობა ტურნირამდე ორი კვირით ადრე, თბილისისთვის მასპინძლობის ჩამორთმევით დაიწყო და უშუალოდ ტატამზე გაგრძელდა. არაობიექტურმა მსაჯობამ საბოლოოდ გაგვტეხა.**

— **პირველ რაუნდში სადავო ეპიზოდი, მგონი, არ ყოფილა...**

— გეთანხმებით და მოვიგეთ კიდეც. მერე ნახევარსაათიანი შესვენება იყო. მეორე რაუნდში კი სხვა მსაჯთა ბრიგადა გამოვიდა და პირველივე შეხვედრაში გამოჩნდა, რომ დავიჩაგრებოდით. არმენ ნაზარიანი სტანევსაც დაამარცხებდა, ცუდ მსაჯობას რომ არ ჰქონოდა ადგილი. ამ დაკარგულ ქულას არაშ მირესმაილის უსუსური ჭიდაობა მოჰყვა, კედელაშვილმაც წააგო და თითქმის მოგებული შეხვედრა დავთმეთ. არ შეიძლება ირაკლი ცირეკიძის დაჩაგვრაც რომ არ ვახსენო. ასპროცენტიანი იპონი შეასრულა, მაგრამ არ ჩაუთვალეს. არადა, შანსი კიდევ გვრჩებოდა.

— **არაშ მირესმაილის ცუდი ჭიდაობა ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, რისი ბრალი იყო?**

— ძნელი სათქმელია. ირანელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია და მისგან გაცილებით მეტს ველოდით. მან კი ოთხ შეხვედრაში ერთი ილეთის გაკეთებაც ვერ შეძლო. არადა, წინასატურნირო შეკრებაზე მშვენივრად გამოიყურებოდა. ბუდაპეშტში გამოჩნდა, რომ ყველაფერი ისე კარგად ვერ იყო, როგორც ბორჯომში. მთავარი მიზეზი მაინც მოუმზადებლობაა. არაში ჩვეულ ფორმაში რომ ყოფილიყო, შეკრებისდროინდელი შემართება ბუდაპეშტშიც გადაჰყვებოდა. სამწუხაროდ, იმედი გაგვიცრუა. გუნდი სწორედ მისი მარცხის შემდეგ გატყდა.

— **სხვა ლეგიონერებმაც ხომ არ დაგაღალატეს?**

— მირესმაილთან ერთად აბდულ ტანგრიევის სუსტმა ჭიდაობამ დამწყვიტა გული. ამ ორმა ლეგიონერმა აშკარად დაგვაღალატა. დანარჩენ სამეულზე ცუდს ვერ ვიტყვი. ჯარჯი ზვიადაურმა ერთი ქულა კი დაკარგა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მაღალ წონაში ჭიდაობდა. ნაზარიანმა და რომან გონტიუკმა კი დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გაართვეს.

— **ძლიერი ძიუდოისტისთვის წონის მომატებამ 73 კილოგრამში გაცილებით ცუდი შედეგი გამოიღო, ვიდრე 90-ში...**

— სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ამ წონაში დავით ქევხიშვილს უნდა ეჭიდავა და, დარწმუნებული ვარ, კარგადაც გაართმევდა თავს, მაგრამ დათომ ბორჯომულ შეკრებაზე მძიმე ტრავმა მიიღო და სასწრაფოდ შესაცვლელი შეიქნა. მისმა გამოკლებამ 73 კილოგრამიც დაასუსტა და 66-იც, რადგან ზაზა კედელაშვილი მაღლა ავწიეთ.

— **ზაზამ ინტერვიუში გვითხრა, რომ მირესმაილი ბორჯომში 73-კილოგრამიანებსაც კი ჯობდა. უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ამ წონაში სწორედ მას ეჭიდავა, კედელაშვილი კი შშობლიურ 66-ში დარჩენილიყო?**

— ეს ფიზიკურად შეუძლებელი იყო. კედელაშვილი ტურნირისწინა პერიოდში ისე ცუდად იყო, წონის დაკლებას ვერ შეძლებდა. ერთხანს მისი ტატამზე გასვლაც კი საეჭვო გახდა. ჭიდაობის წინა დღე ლოგინში გაატარა. შემცვლელი რომ ჰყოლოდა, არც გავრისკავდით. მგონი, ყველამ დაინახეთ, რომ თავის თავს არ ჰგავდა. ზაზას სასაყვედუროდ ენა არ მომიტრიალდება. ტატამზე რომ გავიდა, ესეც გმირობის ტოლფასი იყო.

— **ქევხიშვილი როდის შეძლებს დაბრუნებას?**

— გერმანიაში უკვე გაიკეთა მენისკის ოპერაცია. წინასწარი გათვლით, მკურნალობა ორი თვე გასტანს. იანვრიდან პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირები დაიწყება და იქამდე აუცილებლად მწყობრში უნდა ჩადგეს. 73 კილოგრამში ქევხიშვილი ჩვენი გუნდის ერთპიროვნული ლიდერია.

— **ბუდაპეშტში ძიუდოს ევროფედერაციის შეფებსაც შეხვდებოდით. მასპინძლობის ჩამორთმევაზე რა კომენტარი გააკეთეს?**

— ზუსტად იგივე არგუმენტები ახსენეს, რომლებიც ორი კვირის წინ ფაქსით მოგვწერეს. გვითხრეს, რომ რუსების თხოვნა დაკმაყოფილეს. აქაოდა, „იავარა ნევა“ თბილისში ბოლომდე დაცული მაინც ვერ იქნებოდაო. თავადაც მშვენივრად იციან, რომ თბილისში ტურნირის ჩატარება აბსოლუტურად უსაფრთხო იყო, მაგრამ ამას არაფრით არ აღიარებენ.

— **შაბათს ევროპის გუნდური ჩემპიონატია. უძლიერესი შემადგენლობა მიგყავთ?**

— ნაკრების ძირითადმა ბირთვმა უმძიმესი სეზონი გადაიტანა. ფიზიკურადაც გადაღლილები არიან და ფსიქოლოგიურადაც. წინ დატვირთული და ძალიან მნიშვნელოვანი სეზონი გველის და ჯობს, ამ ეტაპზე დაისვენონ. ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდულ გუნდს წავიყვან. შეიძლება, ბელგრადში ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაჭირდეს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, მედალი ავიღოთ. მთავარი ისაა, რომ ახალგაზრდა ბიჭები მომავალი ტურნირიდან უდიდეს გამოცდილებას მიიღებენ. თუმცა საევროპო განაცხადში ორი გამოცდილი ძიუდოისტი მაინც გვეყოლება. ნესტორ ხერგიანი, სავარაუდოდ, 66 კილოგრამში გამოვა, 90-ში კი ზურაბ ზვიადაური იჭიდავებს. ზურა ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ უბრუნდება ტატამს. ფაქტობრივად, ყველაფერს თავიდან იწყებს და მისთვის სატურნირო გამოცდილება აუცილებელია. საევროპო გუნდის სრულ შემადგენლობას უახლოეს დღეებში შეგატყობინებთ.

— **ბოლოს ისევ „საგარეჯოთი“ დავასრულოთ. ლეგიონერებთან კონტრაქტს აგრძელებთ?**

— ამისთვის ჩვენი თანხმობაა საჭირო. თავად ლეგიონერები კი აქედანვე თანახმანი არიან. თუმცა სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, ჯერ იმაზე უნდა ვილაპარაკოთ, შევინარჩუნებთ თუ არა კლუბს.

— **შეიძლება დაიშალოს?**

— გამორიცხული არაფერია. ამ საქმეში დიდი ფული იხარჯება. ევროპის ფედერაციის დამოკიდებულება და უსამართლობა კი სრულ საფუძველს გვაძლევს, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, საჭიროა თუ არა საკლუბო ჩემპიონატზე გამოსვლა.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲤᲝᲢᲝ ᲘᲚᲘᲐ ᲑᲣᲠᲩᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა: მიხეილ ხარატი, კოკა ლაზიშვილი და ირაკლი ხუციშვილი

თეთრი, წითელი, შავი

ᲒᲣᲨᲘᲜ კაფე „მსოფლიო სპორტში“ საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ საქართველოს ნაკრების ახალი მაისურების პრეზენტაცია მოაწყო. პრეზენტაციამ და მინი-პრესკონფერენციამ სულ რაღაც ათ წუთს გასტანა, მერე კი კაფეში შუქი ჩაქრა და სტუმარ-მასპინძლებიც დაიშალნენ.

ქართველი „ლელოების“ ახალი მაისურები სამფეროვანია. ხუთჯვრიანი დროშის ფერებში გადაწყვეტილი ახალი კვართით ჩვენმა მორაგბეებმა უკვე ითამაშეს ბუქარესტში, მაგრამ შინაური ქომაგის წინ ახლალა, მსოფლიოს თასის შესარჩევ მატჩში ესპანელებთან ირაგბებენ.

ძირითადი კვართი თეთრი ფერისა იქნება, სათადარიგო წითელი, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ქართველები შავ მაისურებს ჩაიცვამენ. ახალი კვართების დიზაინი ვეტერან მორაგბეს და მხატვარს მამუკა ჯაფარიძეს ეკუთვნის. ისიც ვთქვათ, რომ ახალი კვართები სისადავით გაცილებით სჯობს უწინდელებს.

პრეზენტაციაზე საშაბათო მატჩზეც ითქვა ცოტაოდენი. საესპანეთოდ საქართველოს ნაკრები გუშინ შკიკრიბა სასტუმრო „ვარაზში“ და დღეიდან ორჯერად ვარჯიშებზე გადავა. ესპანელები კი თბილისში მატჩამდე ორი დღით ადრე, 26 ოქტომბერს ჩამოფრინდებიან.

ერთიც, მატჩის შესვენებისას შინაური ქომაგი პირველად იხილავს ცოცხალ ქალთა რაგბის, საქართველოს შვიდქალა ნაკრები აზერბაიჯანულ კლუბ „შავი ზღვის კატებს“ დაქალურად ერაგბება.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ტოპალოვი ველარ ტოპობს
პრამნიკისგან ძლეულს ქალმაც აჯობა

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠ ქალაქ ჰუუგეევენში ესენტის სუპერტურნირი მიმდინარეობს. მასში ოთხი დიდოსტატი მონაწილეობს და სიძლიერით მე-19 კატეგორიისაა.

სუპერტურნირის ფავორიტმა, ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა, რომელმაც ათიოდე დღის წინ მსოფლიოს ჩემპიონობა დაკარგა, ასპარეზობა წაგებით დაიწყო - ბულგარელი თავისზე ათი წლით უმცროს აზერბაიჯანელ შაჰრიარ მამედიაროვთან დამარცხდა.

მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს, ტოპალოვმა თავიდანვე შეუტია ახალგაზრდა მოწინააღმდეგეს, თუმც შეცდომები დაუშვა და მწკავე კონტრიერიში მიიღო. აზერბაიჯანელმა კიდევ უფრო განავითარა შეტევა, მრისხანე მეტოქეს ტოლი არ დაუდო და 47-ე სვლაზე ქულა დასტყუა.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვერც მეორე მატჩში იყოჩაღა, უნგრელ იუდიტ პოლგართანაც შავი ფიგურებით დამარცხდა და ორი ტურის შემდეგ ნული ქულით ბოლო ადგილს ხეხავს.

მეორე მატჩი მოიგო მამედიაროვმა. მან რუსი ივან სოკოლოვი 32-ე სვლაზე დააშამათა და პოლგართან ერთად ცხრილს ლიდერობს.

ᲚᲐᲛᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

ქართველებს ბადე დაეხათ

მაკა ჩახნაშვილმა ბრატისლავაში, მანანა შაფაქიძემ სტამბოლში, სალომე დევიძემ ამერიკულ აუგუსტაში, ხოლო ირაკლი ლაბაძემ ლიონში ამაოდ სცადეს ხსენებულ ქალაქებში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირების ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვედრა.

ლაბაძე ATP-ის ეგიდით მიმდინარე 680250 ევრო საპრიზო ფონდის მქონე შეჯიბრის პირველივე საკვალიფიკაციო წრეში 6:7 4:6 დამარცხდა უკრაინელ ალექსანდრ დოლგოპოლოვთან. ასევე პირველ წრეში 16 წლის რუმინელ სორანა-მიჰაელა კირსტეასთან წააგო შაფაქიძემაც.

დევიძემ აუგუსტას 25 ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი შვეიცარიელ რონია ჰატერლისთან მშრალი ანგარიშით — 6:0 6:0 მოგებით კი დაიწყო, მაგრამ მეორე წრეში 21 წლისა და რეიტინგში 222-ე ადგილზე მყოფ ბელარუს ტატიანა უვაროვას ვერაფერი მოუხერხა და 1:6 4:6 დამარცხდა.

ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ ჩახნაშვილი გაისარჯა. სლოვაკეთის დედაქალაქის საკმაოდ წარმომადგენლობითი, 75 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე მაკამ ჯერ 26 წლის ჩეხ მიქაელა პასტიკოვას სძლია 6:4 6:1, შემდეგ 18 წლის სლოვაკი ლენკა ვიენეროვა სამ სეტში — 6:3 4:6 6:4 დაჯაბნა და ერთი მოგებაც და ძირითად ბადეში იქნებოდა, მაგრამ მრავალნაცად ლუქსემბურგელ ანი კრემერთან ვეღარას გახდა — 31 წლის კრემერმა, ვინც ამ წუთისთვის WTA-ს კლასიფიკაციაში 140-ე ადგილზეა, მაგრამ ოთხი წლის წინათ მე-18 იყო, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელს ორ სეტში — 7:6 7:5 მოუგო.

ამრიგად, ისე გამოვიდა, რომ ამ კვირაში საქმიანად მხოლოდ სოფო მელიქიშვილიღა დაგვრჩა, ვინც აუგუსტას ტურნირის ძირითად ბადეშია და პირველ შეხვედრას წუხელ ჩაატარებდა.

კაცები
ბაზელი. შვეიცარია
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 1 000 000 $

პირველი წრე

გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) — ჟულიან რაისტერი (შვეიცარია) 7:6 6:2; **მარდი ფიში** (აშშ) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:4 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — ნიკოლა ტომანი (საფრანგეთი) 6:1 7:5; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ირჟი ჰაჟეკი (ჩეხეთი) 6:7 3:0 (უარი)

კაცები
სანქტ-პეტერბურგი. რუსეთი
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 1 000 000 $

პირველი წრე

ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 2:6 7:5 6:3; **იგორ კუნიცინი** (რუსეთი) — ბიორნ ფო (გერმანია) 7:6 6:3; **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — დანიელე ბრაჩიალი (იტალია) 6:3 6:3; **იარკო ნიემინენი** (5, ფინეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 7:5 6:2; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — მარიან ჩილიჩი (ხორვატია) 6:4 7:5; **მარიო ანჩიჩი** (3, ხორვატია) — პოლ გოლდსტინი (აშშ) 7:5 6:1; **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) — იურგენ მელცერი (8, ავსტრია) 3:6 6:4 6:3; **ერნესტ გულბისი** (ლატვია) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 6:4 3:6 7:6; **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:7 6:4 7:6; **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — ტომი რობრედო (2, ესპანეთი) 6:3 2:6 6:4

კაცები
ლიონი. საფრანგეთი
ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 800 000 $

პირველი წრე

ფლორიან მაიერი (გერმანია) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 7:6 6:3; **ნიკოლას ალმაგრო** (8, ესპანეთი) — ოლივიე მარახი (ავსტრია) 2:6 7:5 6:1; **დიკ ნორმანი** (ბელგია) — ოლივიე პატიენსი (საფრანგეთი) 6:4 7:5; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — კევინ კიმი (აშშ) 7:6 7:5; **რობინ სოდერლინგი** (5, შვედეთი) — ტიერი ასიონე (საფრანგეთი) 6:3 6:1; **სებასტიან გროუანი** (6, საფრანგეთი) — პოლანრი მატიო (საფრანგეთი) 6:3 7:6; **დომინიკ ჰრბატი** (3, სლოვაკეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 3:6 6:3 6:3; **სიმონ გროილი** (გერმანია) — გასტონ გაუდიო (2, არგენტინა) 6:0 6:2

ქალები
ლინცი. ავსტრია
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 600 000 $

პირველი წრე

აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 6:4 7:5; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:4 3:2 (უარი); **შაჰარ პირი** (ისრაელი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3 7:6

მასტერსის თასამდე ოციოდე დღე დარჩა, მაგრამ იქ წამსვლელი რვა ჩოგბურთელის ვინაობა ჯერაც არ არის ბოლომდე ცნობილი. ორი ადგილი კვლავაც ვაკანტურია, რომელზეც სამი ჩოგბურთელი აცხადებს პრეტენზიას — ჰოდა, დარჩენილი დღეების მთავარი ინტრიგაც სწორედ ამ ორი ბედნიერის გამოვლენა იქნება.

დღესდღეობით რეიტინგში მერვე ადგილზე მყოფი ტომი რობრედო ბოლო კვირებია, ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ სეზონის პირველი ნახევრის ნაჯაფარი წყალს გაატანოს — ესპანელი ხომ თიხნარის გარდა სხვა საფარზე არცთუ შთამბეჭდავია, მაგრამ მისგან ასეთ უნიჭო თამაშს მაინც არავინ ელოდა.

უკვე თვეზე მეტია, რობრედოს წესიერად არ უთამაშია და ტურნირებს ხან პირველ, ხან კი მეორე წრეში ემშვიდობება. ამჯერად ესპანელმა სანქტ პეტერბურგში ჩასვლა გადაწყვიტა, იქნებ იქ მაინც შემხვდეს იოლი მეტოქეებიო. პრინციპში, გაუმართლა კიდეც, რადგანაც უეინ არტურსს დაეჯახა — ეს ავსტრალიელი კი წყვილებში უკეთესად თამაშობს, ოღონდ ეს უფრო ბალახზე გამოსდის ხოლმე. თუმც იმის უნარი აღმოაჩდა, რომ რობრედოს გასწორებოდა.

ამ წაგებით ესპანელმა თავისი საშანხაე შანსები დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

რუსეთის ჩრდილო დედაქალაქში საინტერესო კიდევ თითქმის სეხნიების — იარკო ნიემინენისა და იანკო ტიპსარევიჩის შეხვედრა გამოდგა, რომელშიც ფინელი უფრო

იარკო და იანკო



იარკო ნიემინენი

ძლიერი აღმოჩნდა. იარკოს თავიდან გაუჭირდა, მაგრამ მერე და მერე იანკოს თამაშს ალღო აუღო და მეორე სეტი იოლადაც მოიგო.

ისე, გუშინ მეორე ნომრებს დაერივნენ — რობრედოს ბედი ლიონში ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულმა გასტონ გაუდიომ გაიზიარა. არგენტინელს სიმონ გროილმა ძალიან ადვილად გამოუყვანა წირვა.

სამაგიეროდ, საფრანგეთში სხვა განთესილებმა დაიწყეს კარგად. დომინიკ ჰრბატისა და სებასტიან გროჟანს მეორე წრეში გასასვლელად არცთუ დიდი წვალება დასჭირდათ.

ბაზელში კი ადგილობრივები მოუთმენლად ელიან თავიანთი გენიალური თანამემამულის, როჯერ ფედერერის კორტზე გამოჩენას. შვეიცარიელებს მართლაც კარგა ხანია, რაც "მხიარული როჯერის" ჩაუქობა არ უნახავთ — შარშან ხომ ალპელმა ტრავმის გამო ვერ შეძლო საშობლოში თამაში.

მასპინძლებს ჯერ მაინც მოცდა მოუწევთ, რადგანაც ფედერერი პირველ წრეს ტრადიციულად ტოვებს და ისვენებს, მანამდე კი ბაზელის კორტებს სხვებმა გაუსინჯეს გემო, თუმც სერიოზული არაფერი მომხდარა.

ქალები ამ კვირაში მხოლოდ აღსტრიულ ლინცში გაეჯიბრებიან ერთმანეთს. გუშინ მომხდარიდან კი გამოსაყოფი შაჰარ პირის მიერ წყვილებში თავისი პარტნიორის, მარიონ ბარტოლის დამარცხება და პოლონელი რადვანსკას მიერ ანალენა გრონეფელდის წაქცევა გახლდათ.

კახა ლომაშვილი

ფეხბურთი

სახელოვნებს ჭუჭყიან სახელს უწუნებენ

ჯერ კიდევ „ტურ დე ფრანსის" დაწყებამდე დოპინგის ხმარებაში ეჭვმიტანილ ველომრბოლებს, იან ულრიხსა და ივან ბასოს დღემდე ვერ დაუძვრენიათ დოპინგ-ყულფიდან თავი. ვერც ერთი ვერ ახერხებს თავისი სპორტული რეჟიმი დაალაგოს და მხოლოდ საკუთარ ფეხებზე და პედლებზე იფიქროს.

ტურის 1997 წელს მომგებ ულრიხს შვეიცარიის ველოფედერაციამ ველომრბოლის ლიცენზია წაართვა. როგორც ჩანს, ის სწორედ შვეიცარიულ და არა გერმანულ ფედერაციაში იყო გაწევრიანებული. ლიცენზია იმიტომ წაართვეს, რომ მან ჯერ კიდევ ვერ მოახერხა დოპინგთან ურთიერთობაში თავისი უბრალოების დამტკიცება. ჩინოვნიკები კი მისგან სრულ გარანტიას ითხოვენ, რომ ულრიხი არცერთ აკრძალულ პრეპარატს არ ეტანება.

გერმანელ ველომრბოლს იმედად და მშველელად ავსტრიის ფედერაცია გამოუჩნდა, რომელიც ეუბნება, ჩვენთან გაწევრიანდი და ლიცენზიასაც მოგცემთო.

ივან ბასოს კი თავის ძველ გუნდში, დანიურ სუპერკლუბ CSC-ში აღარ დაედგომება. რამდენიმე თვეა, დანიელები იტალიელ მრბოლს არც ერთ ტურნირში გამოსვლის ნებას არ აძლევენ. ბასომაც გადაწყვიტა, გუნდი გამოეცვალა და ხელსაყრელი შეთავაზებებიც მიიღო, მაგალითად, ლენს არმსტრონგის ყოფილ გუნდ „დისკავერისგან", რომელიც ახლა ულიდეროდაა დარჩენილი და ძალიან ჰგავს ცხვრის ფარას. ტრანსფერი თითქოს გაჩარხული იყო, მაგრამ დოპინგმა კვლავ შეუშალა ხელი მრბოლს. არავინ იცის, ბასო იღებდა თუ არა აკრძალულ წამლეულს, ჰოდა, საქმეც ესაა — სანამ არ დაამტკიცებს, რომ ახალშობილი ბავშვივით სუფთაა, „დისკავერი" მას ცხვირწინ უხურავს კარს.

კოტე ყორშია



ივან ბასო

ჭიდაობა

რუსთა ნაკრებს მარჩენალი მოუკლეს

საგენტო „ვეს სპორტს" რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენელმა აცნობა, რომ ამ შაბათ-კვირის გასაყრზე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ფალავანთა უპირველესი გუნდის მთავარ მწვრთნელ ძამბოლატ თედეევს ძმა, იბრაგიმი მოუკლეს. ტრაგედია ვლადიკავკაზის რესტორან „ალანდონში" მოხდა.

„იბრაგიმ თედეევი მოსკოვში ცხოვრობდა, ბიზნესს ეწეოდა და თავის უმცროს ძმას ეხმარებოდა — ამბობს ფედერაციის წარმომადგენელი — იბრაგიმი ვლადიკავკაზში ლეგენდარული ფალავნის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის სოსლან ანდიევის ქალიშვილის ქორწილში ჩავიდა. რა მოხდა რესტორანში, რის გამო ატყდა ჩხუბი და აყალმაყალი, მერე კი ორმხრივი სროლა, რასაც იბრაგიმ თედეევიც შეეწირა, არ ვიცით. რა თქმა უნდა, მომხდარისგან შოკში ვართ. ჩვენ კარგად ვიცნობდით იბრაგიმს, რომელიც არა მხოლოდ უშუალოდ ძმას, არამედ მთელ მოჭიდავეთა ნაკრებს ეხმარებოდა. გულწრფელად თანავუგრძნობთ ჩვენს მთავარ მწვრთნელს, რომელიც ახლა ვლადიკავკაზშია"...

ბედნიერი კაცის სევდიანი ინტერვიუ

AFP სან პაულუდან

Formula 1

კვირას ბრაზილიური ეტაპით დასრულდა არა მხოლოდ მორიგი, საპირველფორმულო მსოფლიოს ჩემპიონატი, ფანტასტიკური, 16-ნლიანი კარიერის შემდეგ „სამეფო რბოლებს" გამოეთხოვა უდიდესი პილოტი, შვიდგზის ტრიუმფატორი მიხაელ შუმახერი, რომელმაც სან პაულუში რბოლის დასაწყისში საბორბლე პრობლემების მიუხედავად, ლომივით იომა და რბოლა ლამის პოდიუმზე დაასრულა — ფორმულა 1-ში მისთვის ბოლო რბოლაში მიხაელ შუმახერი მეოთხე იყო და მსოფლიოს ჩემპიონის კიდევ ერთი ტიტული მხოლოდ ოცნებად დარჩა. შვიდგზის ჩემპიონი გერმანულ „შპიგელთან" თავის კარიერასა და გრძნობებზე ლაპარაკობს და წარსულსა და მომავალზე ფიქრობს

— დასაწყისში საბურავის პრობლემისა და ჩამორჩენის შემდეგ საოცრად გაიჭერით წინ და ფინიშთან მეოთხე მიხვედით. მაინც იმედგაცრუებული ხომ არ ხართ?

— გამარჯვება ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ საკმაოდ რთული რბოლა იყო. მართალი გითხრათ, საოცრად სწრაფი მანქანა მყავდა და ყველა წრეც თითქმის უპრობლემოდ უნდა გამევლო, მაგრამ...

— ჩანდა, გამოსამშვიდობებელმა რბოლამ დიდი სიამოვნება მოგანიჭათ...

— რა თქმა უნდა. ფორმულა 1-ის პიკი ის არის, როცა გასწრებისას საბურავი საბურავს ეხება და დაუნდობელი ორთაბრძოლა იმართება, ხოლო წინ დიდი გზაა და მეტოქე, რომელსაც შეუძლია ყოველ წუთს შეგეხოს. უმეტეს შემთხვევაში დიდი სურვილი გიჩნდება, რაც შეიძლება, მალე დამთავრდეს რბოლა, მაგრამ დღეს ნამდვილად ვისურვე, რომ რბოლა კიდევ გაგრძელებულიყო.

— შვიდგზის ჩემპიონობიდან რომელი იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

— 2000 წელს „ფერარით" პირველი გამარჯვება. ეს იყო გრძელი და მძიმე სამუშაოს დასასრული — უდიდესი წარმატება ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

— გააზრებული გაქვთ, რომ ეს თქვენი ბოლო რბოლა იყო?

— ჯერ ვერ ვგრძნობ, მე ხომ სულ ცოტა ხნის წინ დავამთავრე ბოლო რბოლა და ჯერ კიდევ ამ განცდებში ვარ. ალბათ არ უნდა ელოდეთ იმას, რომ ამ თემაზე პასუხებს ადვილად ვიპოვი, ამაზე ფიქრის დრო ჯერ არ მქონია.

— ტკივილით ხომ არ იყურებით უკან?

— ნაღვლიანი რომ ვიყო, ამ გადაწყვეტილებასაც არ მივიღებდი, ეს ცხადია. აქამდე ნამდვილად ბედნიერი ვიყავი და ვარ კიდეც.

— როგორ შეიძლება ადამიანმა იმ დროს შეწყვიტოს კარიერა, როცა კიდევ ამდენი ენერგია აქვს?

— წარმატების მისაღწევად ძალიან დიდი შრომა და ენერგიაა საჭირო. ჩემი მიზანიც ყოველთვის ის იყო, რომ საუკეთესოთა შორის ვყოფილიყავი და არა სხვაგან. ამის ძალას კი უკვე ველარ ვგრძნობ. აქამდე მიზანს ვაღწევდი. როცა მიხვდები, რომ ყველაფერი ისე კარგად ალარ იქნება, როგორც აქამდე იყო, უნდა შეჩერდე.

— დამშვიდობებისას რას ეტყვით გულშემატკივარს?

— ქომაგების მხარდაჭერა ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ისინი მამხნევებდნენ მაშინაც, როცა მძიმე დრო მქონდა. დიდი მადლობა მათ ყოველივე ამისთვის. სამწუხაროდ, ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით...

— როგორღაც ბედნიერიც ხომ არ ხართ, რომ ეს ყველაფერი დასრულდა?

— ჩემი საუცხოო მანქანით, დიდი სიამოვნებით ვიდგებოდი პოდიუმზე, მაგრამ საერთო ჯამში ჩვენთვის მაინც ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— მიხაელ შუმახერი ფორმულა 1-ში აღარასოდეს იარსებებს?

— ეს ის გადაწყვეტილებაა, რომელიც მე მივიღე.

— არსებობს ისეთი რამ, რასაც სხვაგვარად გააკეთებდით?

— რა თქმა უნდა, ასეთი რაღაც არსებობს და მას ფრენკ სინატრას სიმღერა „MY WAY" ალბათ ყველაზე მეტად შეეფერება.

— 2007 წლის 18 მარტს რას გააკეთებთ?

— ვფიქრობ, სახლში ვიქნები, იქნებ ბაშვებთან ერთად ვისეირნო, ან იქნებ ტელევიზორთან ვიჯდე და ავსტრალიაში ფორმულა 1-ის პირველ რბოლას ვუყურო.

— რა გსურთ უთხრათ იმ 22 მძღოლს, რომლებიც გარეშე თქვენს ირბოლებენ?

— ყველა მათგანს წარმატებას და თავიანთი სამუშაოსგან სიამოვნების მიღებას ვუსურვებ.

ახლა თბილისშიც ვირბინოთ

სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორ მაია აზარაშვილის სახელობის საერთაშორისო კროსი უკვე ოთხწლიან ისტორიას ითვლის. უფრო სწორად, ეს ტურნირი მანამდე საქართველოს მოსწავლეთათვის მრავალი წლის განმავლობაში ტარდებოდა, 2002 წლიდან კი მისი სტატუსიც გაიზარდა და ფარგლებიც, როცა უფროს მორბენალთა საერთაშორისო ტურნირად გადაიქცა. მას მერე ბორჯომის პლატოზე არაერთი უცხოელი კროსმენი გამოსულა, მათ შორის ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, გერმანიის, ისრაელის, რუსეთის, სომხეთისა და სხვათა წარმომადგენლები. რაც მთავარია, იყვნენ კენიელებიც, რომლებიც მთელ მსოფლიოში ყველაზე გამძლე მორბენლებად ითვლებიან.

წესით და რიგით, ეს შეჯიბრება ტრადიციისამებრ შემოდგომობით იმართება. მისთვის ამ დღეებშიც უნდა გვემასპინძლა, მაგრამ...

— ეს შეჯიბრება 5 ოქტომბრისთვის გვქონდა დაგეგმილი, თუმც არჩევნების გამო გადავიტანეთ — გვითხრა მაია აზარაშვილმა, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა — ბოლოს, როცა შეჯიბრების გენერალურ სპონსორს, შუშისა და მინერალური წყლების კომპანიის ხელმძღვანელობას ველაპარაკეთ, ჩვენდა სასიხარულოდ, აქეთ შემოგვთავაზეს ტურნირის მასშტაბების გაზრდა, რის სურვილსაც თავად უცხოელი სპორტსმენებიც გამოთქვამდნენ. ჯერ შეჯიბრების ჩატარების ვადები საბოლოოდ არ დაგვიზუსტებია, მაგრამ ის კი გადაწყვეტილი ამბავია, რომ მას ნოემბრის ბოლოს თბილისში ვუმასპინძლებთ და აქ მასობრივ გარბენსაც მოვაწყობთ.

ავთანდილ ბაყაიშელი

გაშლილი გზის კენიელები

მსოფლიო მძლეოსნობას მარათონების და გაშლილ გზაზე სირბილის პერიოდი უდგას. 42-კილომეტრიან რბენას გერმანულმა ქალაქმა დრეზდენმაც უმასპინძლა, ოღონდ იქ არც ისე ელიტურმა მარათონელებმა მოიყარეს თავი და შედეგებიც ვერ გამოვიდა რეკორდთან დაახლოებული.

სტარტზე ტევა არ ჰქონდათ მასპინძელ გერმანელებს და, რაღა თქმა უნდა, კენიელებს, რომელთა გარეშეც ქუჩაში ხალხი ვერ გამოსულა და პიერ დე კუბერტენის ხნიდან მარათონი არ გამართულა. წლეულს აღმოსავლეთ აფრიკის სავანებსა და სტეპებში ფეხადგმული კენიელები ყველაფერს იგებენ. მოიგეს ბოსტონში, ვენეციაში, ჩიკაგოში და მათ ვერც დრეზდენში შეუშალა ვინმემ ხელი.

კენიელი იოზეფ ტალამა ჩიკაგოსა და ვენეციის მარათონში იქნებ 5 საუკეთესოს შორისაც ვერ მოხვედრილიყო, მაგრამ აკი ზემოთაც ვთქვით, დრეზდენში შედარებით სუსტმა შემადგენლობამ მოიყარა თავი და გამარჯვებაც ამ ჯელელს დარჩა შედეგით 2 საათი, 15 წუთი და 26 წამი. მას 53 წამით ჩამორჩა თანამემამულე მეთიუ სერემსი, ხოლო რუს ოლეგ კულკოვს მესამე ადგილი შეხვდა.

ქალთა განაკვეთში კი გამარჯვება რუსს დარჩა — ოლგა ვოლკმა დისტანცია 2:35.26-ში დაფარა და უახლოესი მდევარი, ლიტველი რემალდა კერგიტე მთელი წუთით ჩამოიტოვა.

იაპონურ ქალაქ კობეში 10-კილომეტრიანი რბოლა მოეწყო ქალთა შორის და აქაც კენიელებმა წალეკეს ყველა — პირველი ოთხი ადგილი მათ შეხვდათ და მხოლოდ მეხუთე იყო ქალთა შორის აფენინის ოლიმპიადის მარათონის მომგები, მასპინძელი მიცუკი ნოვუჩი.

კოტე ყორშია

იოზეფ ტალამა

რეგულარული ჩემპიონატი

სტივ მაკარტი (№5) ილია კოვალჩუკს ჰეთ თრიკს ულოცავს

23 ოქტომბერი

ედმონტონი 5:2 ფინიქსი
2:0 1:2 2:0
1:0 ტორესი (13), 2:0 სტოლი (14), 3:0 ჰორეოფი (24), 3:1 რონიკი (28), 3:2 კომრი (30), 4:2 სიკორა (46), 5:2 ჰემსკი (52)

დალასი 2:1 ვანკუვერი
1:1 0:0 1:0
0:1 დ. სედინი (2), 1:1 ჰეგმენი (3), 2:1 მოდანო (49)

კოლორადო 6:1 ლოს ანჯელესი
1:1 5:0 0:0
0:1 არმსტრონგი (6), 1:1 ლაილზი (9), 2:1 ჰეიდუკი (22), 3:1 სვატოში (23), 4:1 შჩასტნი (31), 5:1 ჰეიდუკი (37), 6:1 ბრიუნე (39)

ფლორიდა 3:6 ატლანტა
2:1 0:4 1:1
1:0 კვიატკოვსკი (15), 2:0 ალენი (16), 2:1 კოვალჩუკი (18), 2:3 კოვალჩუკი (32), 2:4 მელანბი (35), 2:5 კოვალჩუკი (36), 3:5 შტუმპელი (55), 3:6 რუჩინი (60)

კოლუმბუსი 0:3 სან ხოსე
0:1 0:2 0:0
0:1 ბერნე (3), 0:2 ჩიჩუ (24), 0:3 გოჩი (26)

მონრეალი 1:4 ბუფალო
0:1 0:2 1:1
0:1 ნოვოტნი (10), 0:2 დრური (30), 0:3 პომინვილი (32), 1:3 ჯონსონი (50), 1:4 ვანეკი (60)

ევროლიგა

Euroleague

პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური. 24 ოქტომბერი

B ჯგუფი

ხუვეტუდი (ესპანეთი) 79:82 **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი)

აქლემი და ოსკარი

ეს ფოტო ვალენსიაშია გადაღებული. ტურ დე ფრანსის მომგები ოსკარ პერეირო სიო თავისი ველოსიპედით კი აწვება საქმეს, მაგრამ ამ აქლემზე ამხედრებულ ვინმეს მაინცდამაინც ვერ უსწრებს.

AFP ვალენსიიდან

AFP პეკინიდან

როგი სადოქტოროდ

ოლიმპიზმის თავკაცი ჟაკ როგი პეკინშია საოლიმპიაადო ინსპექტირებისთვის. დოქტორი როგი პეკინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორიც შექნილა, თუმცა მის ვიზიტს შეფარული მიზანიც აქვს: როგი ეცდება, ჩინელები ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებაში დაარწმუნოს, რადგან კრიტიკოსები კომუნისტურ ქვეყანაში ოლიმპიადის ჩატარებას ალმაცერად უცქერენ და ვინ იცის, რა მოხდება, როცა ოლიმპიადა მოახლოვდება.

მოიხედა

დანიაში ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულებს აჯილდოვებენ. ჩემპიონები ჩინელი გოგონები არიან, მათ კი ამერიკელები და რუსები მოსდევენ. მთელს ამოდენა მწკრივში კი ერთადერთმა გოგომ მოიხედა: ამერიკელმა ეშლი პრესმა.

AFP ორუსიდან

AFP ოკლუნდიდან

საქმე ჩაუშლია

კვორტერბეკი ის კაცია, ვინც ერთი მოხდენილი პასით უნდა გაიყვანოს თავისიანი მოხერხებულ ადგილას. თუმც არიზონელ მატ ლენარტს ამჯერზე პასი არ დასცალდა, რადგან ოკლენდელმა დერიკ ბერჯესმა წამოაქცია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge